[illegible]

# კომუნისტი

[illegible]

შაბათი
6
ოქტომბერი
1934
№ 232 (4088)

## დღეს ნომერში

- **საფრანგეთი** საკანტონო არჩევნების წინ.
- **სახელმწიფოთა** კონტინენტალური ბლოკის შექმნის გერმანული გეგმა.
- **ხაიასის** განცხადება სამხედრო სამინისტროს ბროშურის გამოქვეყნების გამო.
- **რუმინეთის** მთავრობის თავმჯდომარის განცხადება.
- **ავსტრიის** მუშების ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ.
- **პოლონეთში** აკრძალეს მარქსისტული ლიტერატურა.
- **მანჯურიის** ხელისუფლებამ დააბრუნა საბჭოთა მფრინავები.
- **ამერიკის** შეერთებული შტატების რეფორმისტთა ბელადების დემაგოგია.
- **პურის ჩაბარების** წლიური გეგმა საბჭოთა კავშირში 1 ოქტომბრისათვის შესრულებულია 85 პროც.
- **შირაქის და ალაზნის** საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა.

# განვამტკიცოთ სოფლის სამომხმარებლო კოოპერაცია

**სოფლის** მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობა სწრაფად იზრდება. ყოველდღიურად იზრდება მშრომელთა სყიდვითი უნარიანობა. შეძლებულ კულტურულ ცხოვრების გზაზე დამდგარი კოლმეურნე კოოპერატივს უკვე სხვა მოთხოვნას უყენებს. სოფლის სამომხმარებლო კოოპერაცია უდიდესი ამოცანების წინაშე დგას. დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება ბოლშევიკური ენერგიით მუშაობას მოითხოვს.

უდავოა, რომ ამ სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციას თვალსაჩინო მიღწევები აქვს. დიდად გაიზარდა სოფლად სავაჭრო ქსელი და გაჩაღდა ბრძოლა ნამდვილი **კულტურული ვაჭრობის** დანერგვისათვის. მაგრამ ის ჯერ კიდევ **ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა გაზრდილ** მოთხოვნილებას.

1934 წლის პირველი ნახევრის საქონელბრუნვის გეგმა სოფლის სამომხმარებლო კოოპერაციამ საქართველოში 96,7 პროცენტით შეასრულა. ივლისში საპაიო ანარიცხების შეგროვების გეგმა კი შესრულებულია მხოლოდ 28,3 პროც.

რა არის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზი? ის, რომ სოფლის კოოპერატივებს ხშირად არა აქვთ კარგი ხარისხის, სოფლისათვის **შერჩეული საქონელი**: ნავთი, მარილი, ნემსი, მაკრატელი, დანა, წუმწუმა. მაგალითად, ქუთაისის რაიონის სოფ. **ფარცხანაყანევის** კოოპერატივს **მთელი წლის განმავლობაში არ ჰქონია მარილი**. ასეთი მაგალითები სოფლად ჯერ კიდევ ბევრია — ამის შედეგად მთელ რიგ სასოფლო კოოპერატივებს გეგმების შესრულებაში ზოგჯერ სამარცხვინო ჩავარდნები აქვთ. ყვარელის რაიონის სოფ. **ენისელის** კოოპერატივმა მესამე კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა მხოლოდ 65 პროც. შეასრულა, სოფ. [illegible] კოოპერატივმა კი — 42 პროც.

სოფლის მთელ რიგ სავაჭროებში დიდი რაოდენობითაა **დაგროვილი გაუსაღებელი საქონელი**, იმიტომ რომ საქონლის შეძენის დროს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ **ხარისხს, ფასს, ასორტიმენტს**.

ხშირად ამაში სარაიონთაშორისო ბაზებია დამნაშავე, ისინი კიდევ მიმართავენ იძულებითი დატვირთვას. ქუთაისის ბაზამ სოფ. **ბალლაკის** კოოპერატივს ორი ყუთი ღვინის ჭიქაზე იძულებით გაატანა სამი ყუთი **ლუდის ჭიქა**.

სოფლის სამომხმარებლო კოოპერატივების მუშაობას აფერხებს ისიც, რომ **ძირეული სავაჭრო რგოლები ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი კვალიფიციური კადრებით**. ხშირად ადგილი აქვს მფლანგველობას, ზომა-წონაში მოტყუებას, ფასების საბჭოთა პოლიტიკის უხეშ დამახინჯებას.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ძირეული სავაჭრო რგოლების შემოწმებული კვალიფიციური კადრებით განმტკიცებას. განდევნონ მაღაზიიდან ყალთაბანდები, მფლანგველები, მატყუარები.

საბოლოოდ **უნდა ალიკვეთოს იძულებითი დატვირთვები**. სოფლის კოოპერატივისათვის შერჩეული უნდა იქნეს **გლეხური, ასორტიმენტი**, კარგი ხარისხის და იაფი საქონელი.

ამჟამად სოფლის კოოპერატივები მეტად საპასუხისმგებლო პერიოდში იმყოფება. უკვე დაიწყო კოოპერატივების მიერ **პურის შესყიდვა და ზამთრის სეზონისათვის მზადება**. კოლმეურნენი და მშრომელი ერთპიროვნული გლეხები კოოპერაციას აბარებენ ჭარბ ხორბალს. სამაგიეროდ მათგან მოითხოვენ ზამთრის სეზონის კარგი ხარისხის სამრეწველო საქონელს. სოფლის სამომხმარებლო კოოპერატივებმა უნდა გვიჩვენონ ბოლშევიკური მუშაობის ნიმუში.

უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს. მათი უშუალო კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობით უახლოეს დროისათვის მიღწეული უნდა იქნეს „სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებების, როგორც ვაჭრობის ძირითადი რგოლების განმტკიცება, რომელსა მუშაობა სწყვეტს მუშათა; კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა უკეთესად მომსახურების საკითხს" (ს. კ. პ. (ბ) ც.-კ. სამხ. კ-ის პლენუმის დადგენილებიდან) სოფლის კოოპერატივების ცუდ მუშაობაზე პასუხისმგებელია უპირველეს ყოვლისა სოფლის პარტიული ორგანიზაცია.

სამომხმარებლო კოოპერაცია სოფლად უნდა მუშაობდეს სანიმუშოდ!

◆ ◆ ◆

## პედაგოგიური პროცესის მაღალი ხარისხისათვის

**გ**ადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ახალ სასწავლო წელს ჩვენი სკოლების დიდი უმრავლესობა მომზადებული შეხვდა. მთელმა რიგმა რაიონებმა გვიჩვენეს ამ დარგში ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშები. 15 სექტემბერს დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

მაგრამ ყველა რაიონი როდი შეხვდა მომზადებული ახალ სასწავლო წელს. არის ისეთი რაიონები, სადაც **მოსამზადებელი სამუშაოების ცუდად ჩატარების შედეგად** სწავლის დაწყება 15 სექტემბრისათვის შეუძლებელი გახდა. **სტალინისის** რაიონში (განათლ. განყ. გამგე ამხ. **ჩაჩუა**) სოფ. **ლეთეთში, ლანძილებში** და **ხასირეთის** სკოლებში 15 სექტემბრისათვის **მეცადინეობა არ იყო დაწყებული**: მასწავლებელთა გამოუცხადებლობის გამო მეცადინეობა არ დაუწყიათ **ზემო-წიფლოვანის, ქვემო-წიფლოვანის** და **კოდის** სკოლებში.

**დუშეთის** რაიონის (განათლ. განყ. გამგე ამხ. **მეხუზლა**) **გრემისხევის** არასრულ საშუალო სკოლაში, **უკანა ფშავის, ხეობის, ჟინვალის და ბაზალეთის** საბჭოებში შემავალ თითქმის ყველა სკოლაში **28 სექტემბერსაც არ იყო დაწყებული მეცადინეობა**. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა **ლიუქსემბურგის** რაიონში (გან. განყ. გამგე ამხ. **შლეიგერი**). ამ რაიონში შემავალ სოფ. **ქვეშის** დაწყებით სკოლაში მეცადინეობა **დღესაც არ მიმდინარეობს**. **ქაფანახჩის, აკაურთას, დარბაზის** და **ძველი ქვეშის** სკოლებში დღემდე არ დაუნიშნავთ ქართული და რუსული ენის მასწავლებლები. ასეთივე მდგომარეობაა **ხევსურეთის** სკოლებში, სადაც იმედიც არ არის, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება მეცადინეობა.

ეს ფაქტები იმას მოწმობს, რომ აღნიშნული რაიონების პარტიულ, საბჭოთა და განათლების ორგანოებს არ მოუქცევიათ სკოლა თავიანთი მზრუნველობის ცენტრში. ეს სამარცხვინო ჩამორჩენა სასწრაფოდ უნდა იქნეს გამოსწორებული.

ახალ სასწავლო წლის მზადების დარგში მოპოვებულმა წარმატებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს **თვითკმაყოფილების** გრძნობა. საჭიროა ენერგიული ბრძოლა ამ წარმატების **განმტკიცებისათვის**.

სწავლების მაღალი ხარისხის მოპოვება შეუძლებელია, თუ მასწავლებელი სისტემატიურად არ უწევს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებას. მასწავლებლებს უნდა შევუქმნათ საამისო პირობები. განათლების ორგანოებმა რეგულარული მეთოდიური დახმარება უნდა გაუწიონ მასწავლებლებს.

ახალი სასწავლო წელი კიდევ უფრო რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს შლის ჩვენს წინაშე — ბრძოლას **სწავლების მაღალი ხარისხისათვის**, სკოლის მუშაობის ძირითად ნაკლთა აღმოსაფხვრელად. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს **განსახკომის** მიერ გამოცხადებულ **რესპუბლიკურ კონკურსს**. არც ერთი რაიონი და სკოლა არ უნდა დარჩეს ამ კონკურსის გარეშე.

# საფრანგეთის საკანტონო არჩევნების წინ

## ამომრჩეველთა პოლიტიკური განწყობილების შემოწმება

**პარიზი**, 3 ოქტომბერი. 7-დან 14 ოქტომბრამდე საფრანგეთის 3 ათას კანტონში მოხდება არჩევნები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებს 11 მილიონი ამომრჩეველი. პალატის 1932 წლის არჩევნების შემდეგ საკანტონო არჩევნები — საფრანგეთის ამომრჩეველთა პოლიტიკური განწყობილების პირველი მასობრივი შემოწმებაა. ამ არჩევნების მნიშვნელობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მათი მიმდინარეობის დროს პირველად იქნება გამოყენებული მთელი ქვეყნის მასშტაბით კომუნისტების და სოციალისტების მთლიანი ფრონტის ტაქტიკა. იმ 1.452 გენერალური მრჩეველის პარტიულობა, რომლებიც გადარჩეულ უნდა იქნენ, ასეთია: 384 რადიკალ-სოციალისტი, 272 მემარცხენე რესპუბლიკელი, 263 მემარცხენე დემოკრატი, 125 სოციალისტი, 121 მემარჯვენე რადიკალი, 106 რადიკალ-რესპუბლიკელი, ტარდიეს და მარენის მემარჯვენე პარტიების გაერთიანების 93 წარმომადგენელი, 72 რესპუბლიკელი სოციალისტი (დე-მონზის ჯგუფი) და 16 კომუნისტი (ალს).

## სოციალისტური პარტიის პოზიცია არჩევნების დროს მთლიანი ფრონტის ტაქტიკის საკითხში

**პარიზი**, 4 ოქტომბერი. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობისადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნავს, რომ იგი არადამაკმაყოფილებლად სცნობს წინანდელ პასუხს კომპარტიის წინადადებაზე მომავალი საკანტონო არჩევნების მეორე ტურში საარჩევნო ტაქტიკის შესახებ. კომპარტია მოითხოვს, რომ მთლიანი ფრონტის თითოეულმა პარტიამ მოხსნას მეორე ტურში თავისი კანდიდატურა მეორე პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ, რომელმაც მეტი ხმები მიიღო. იმ შემთხვევაში, კი როცა ასეთ ტაქტიკას არ შეუძლია უზრუნველყოს ფაშისტთა კანდიდატის დამარცხება, კომპარტიას შესაძლებლად მიაჩნია მთლიანი ფრონტის კანდიდატურების მოხსნა სხვა ანტიფაშისტური კანდიდატების სასარგებლოდ.

სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობის ახალ პასუხში ნათქვამია, რომ სოციალისტური პარტია მოხსნის თავის კანდიდატურებს კომუნისტთა კანდიდატების სასარგებლოდ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა, არჩევნების პირველი ტურის ცნობების მიხედვით, კომუნისტების კანდიდატს ექნება რეაქციონერ კანდიდატზე გამარჯვების მეტი შანსი, ვიდრე სხვა კანდიდატებს ამგვარად, სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობა არსებითად რჩება წინანდელ პოზიციებზე (ალს).

## თავდაცვის საგნით მზადება ომისათვის

### სამხედრო მინისტრის ხაიასის განცხადება

**ტოკიო**, 3 ოქტომბერი, „ნიცი-ნიცის" სიტყვით, სამხედრო მინისტრმა **ხაიასიმ** კანაძავაში განაცხადა:

„სამხედრო სამინისტროს ბროშურა ეხება ისეთ საკითხებს, რომლებსაც გულდასმით სწავლობს არმია და შეხედულებანი, რომლებსაც ბროშურა შეიცავს, ფორმალურად არმიის მიერ მთლიანად არ არის გადაჭრილი ისინი გამოქვეყნებულია მხოლოდ, როგორც საცნობარო მასალა, რათა იაპონიის ხალხი დარწმუნდეს თავდაცვის მნიშვნელობაში რამდენად არმია დაჟინებით არ მოითხოვს მთავრობისაგან, რომ მან იმოქმედოს ამ შეხედულებათა თანახმად. არ არის საჭირო ამ საკითხის გადაქცევა სერიოზულ პრობლემად".

სამხედრო მინისტრის მოადგილემ **ხაშიმოტომ** განაცხადა:

არმია საჭიროდ სცნობდა გაეცნო ხალხისთვის კონკრეტულად და ოფიციალურად თავისი შეხედულებანი თავდაცვაზე, როგორც კი ამის საშუალება მიეცემოდა. ახლა არმიამ დაამთავრა პრობლემის შესწავლა და ამიტომ ბროშურაც გამოქვეყნდა მორჩა და გათავდა. არმია დარწმუნებულია, რომ საზოგადოება მხარს დაუჭერს და ნდობას გამოუცხადებს იმათ, ვინც ნამდვილად გულწრფელად ზრუნავს ქვეყნის ინტერესებზე (ალს).

## საბჭოთა მფრინავები დააბრუნეს

**ჩიტა**, 4 ოქტომბერი. დღეს ოტპორის სადგურზე ჩამოვიდნენ საბჭოთა მფრინავები ამხ. **მოშკოვი** და **ბახტინი**, რომლებმაც 26 სექტემბერს ღამით სასწავლო ფრენის დროს დაჰკარგეს გზა, გადაფრინდნენ საზღვარზე და იძულებული იყვნენ დაშვებულიყვნენ მანჯურიის ტერიტორიაზე. საერთაშორისო ტრადიციების თანახმად, მანჯურიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მას შემდეგ, რაც ისინი დარწმუნდნენ, რომ სამხედრო თვითმფრინავის საზღვარზე გადაფრენა და მანჯურიის ტერიტორიაზე დაშვება წინასწარი განზრახვით არ მომხდარა, საბჭოთა კონსულის (მანჯურიის სადგურზე) ამხ. სმირნოვის მიმართვის საპასუხოდ, 4 ოქტომბერს 18 საათზე საბჭოთა სასაზღვრო ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცეს თვითმფრინავი დაუზიანებლად და ორივე მფრინავს ნება დართეს დაბრუნებულიყვნენ საბჭოთა კავშირში (ალს).

## აკრძალეს მარქსისტული ლიტერატურა

**ვარშავა**, 4 ოქტომბერი. „ფოლკსცეიტუნგის" გადმოცემით, პოლონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა პოლონეთში აკრძალულ 48 წიგნის და ჟურნალის მორიგი სია. აკრძალულ წიგნებს შორის არის: **სტალინი** „ლენინიზმის საკითხები", კრებული — „მარქსი ნაციონალურ-კოლონიალური საკითხის შესახებ" და **რადეკის კრებული** — „პამფლეტები და პორტრეტები".

## ესპანეთში დაიწყო საყოველთაო გაფიცვა

**პარიზი**, 5 ოქტომბერი. როგორც მადრიდიდან იტყობინებიან, ლერუსის კაბინეტის შედგენა, რომელიც წარმოადგენს ფინანსიური კაპიტალის და მემამულურ—მონარქისტულ - ფაშისტური რეაქციის უკიდურესად მემარჯვენე პარტიების გაერთიანებას, შეიქნა სიგნალი მთელს ესპანეთში საყოველთაო გაფიცვის გამოსაცხადებლად. გაფიცვა მიმდინარეობს ერთიანი ფრონტის ნიშნით, რომელსაც კომპარტია ანხორციელებს.

## ფილმი ტელმანზე

**ნიუ-იორკი**, 4 ოქტომბერი („პრავდის" საკ. ინფ.)

ფილმს გერმანიის მუშების ბელადზე ამ [illegible] უჩვენებენ ნიუ-იორკის ერთერთ [illegible] კინო-თეატრში.

ფილმი ტელმანზე გაკეთებულია გერმანიაში და არალეგალურად გადაგზავნილია საზღვარგარეთ. მას ეწოდება „ერნსტ ტელმანი — ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი".

ფილმის შინაარსი ეს არის არა მარტო ტელმანის [illegible] და ბრძოლის ისტორია 1925 წლიდან მის დაპატიმრებამდე. [illegible]

## გერმანია ეძებს მოკავშირეებს

### სახელმწიფოთა კონტინენტალური ბლოკის შექმნის გეგმა

**პრაღა**, 4 ოქტომბერი. „პრაგერ ტაგებლატი" იუწყება, რომ გერმანია ადგენს გეგმას სახელმწიფოთა მსხვილი კონტინენტალური დიდი ბლოკის შექმნისა ავტორიტარული რეჟიმით. ამ გეგმაში დიდ როლს თამაშობს პოლონეთ-უნგრეთის შეთანხმება „ნაროდნი ლისტი" იმასაც კი ამბობს, რომ პაპენი ჩავიდა ბუდაპეშტში, რათა მოამზადოს პოლონეთ - უნგრეთის პოლიტიკური და სამხედრო ხელშეკრულების დადება, რომელიც გერმანია-პოლონეთის შეთანხმების დამატება იქნებოდა. გაზეთის სიტყვით, უნგრეთის პრემიერის გემბეშის ჩასვლის შემდეგ, ვარშავაში შესდგება პოლონეთის და უნგრეთის გენერალური შტაბების წარმომადგენელთა თათბირი (ალს).

## სპარსეთში დაიწყო ფირდოუსის ხსოვნის აღსანიშნავი ზეიმი

**თეირანი**, 5 ოქტომბერი. დღეს გაიხსნა ორიენტალისტთა კონგრესი აღმოსავლეთის და დიდი ევროპული ქვეყნების 50-მდე დელეგატის მონაწილეობით. ამით დაიწყო ზეიმობა ფირდოუსის ხსოვნის აღსანიშნავად.

კონგრესი შესავალი სიტყვით გახსნა პრემიერმა და ეროვნულ ძეგლთა საზოგადოების თავმჯდომარემ **ფორუღიმ**. პირველ სხდომაზე წაკითხულ იქნა სპარსეთის მთავრობის მიერ ფორუღის სახელზე მიღებული მისასალმებელი დეპეშები ს.ს.რ. კ-ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **მოლოტოვისა** და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე **კრესტინსკისა**, სპარსეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის **პასტუხოვის** მისალმების წერილი საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. [illegible]

## „ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან"

**სტოკჰოლმი**, 4 ოქტომბერი. „არბეიტერ-ბლადეტში" ცნობილი დანიელი პროლეტარული მწერალი ნექსე გმობს გაზეთ „სოციალ-დემოკრატენის" მონაწილეობას დანიის ბურჟუაზიული პრესის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიაში „როცა ეს გაზეთი [illegible] იმას რაც წმინდათა-წმინდაა და წმინდათა-წმინდა უნდა იყოს თითეული პროლეტარისთვის, — წერს ნექსე — ყველა მუშამ უნდა მოსთხოვოს მას პასუხი [illegible] ევროპის მუშები დიდად დავალებული არიან საბჭოთა პროლეტარიატისაგან თუ არა ის და ოქტომბრის რევოლუცია მთელი დასავლეთ ევროპა ამჟამად იქნებოდა [illegible] ან ნაციონალ სოციალისტური გერმანიის მდგომარეობაში. ამის გამო და საბჭოთა კავშირის [illegible] — თვითეული მუშის უპირველესი მოვალეობა. ჩვენი ლოზუნგი უნდა იქნეს „ხელები შორს საბჭოთა კავშირისაგან" (ალს).

## მდგომარეობა რუმინეთში

### ტატარესკუს განცხადება პრესის წარმომადგენლების მიმართ

**ვენა**, 4 ოქტომბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, პრემიერმა ტატარესკუმ მიიღო პრესის წარმომადგენლები, რომლებსაც განუცხადა, რომ რუმინეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა უცვლელი რჩება. „მთავრობის მიზანია, — ბრძანა მით აღნიშნა ტატარესკუმ, — შეინარჩუნოს არსებული ხელშეკრულებანი საფრანგეთთან და მეგობრობა და უცვლელი სოლიდარობა მცირე ანტანტასთან. აგრეთვე უშუალო თანამშრომლობა საფრანგეთთან, რომელთანაც რუმინეთი დაკავშირებულია როგორც წარსულის ტრადიციებით, ისე მომავლის ინტერესებით".

რუმინეთის პრესის ცნობით, ტიტულესკუ ბუქარესტში ჩავა უახლოეს დღეებში. ახალი კაბინეტის შესვლისათვის ტიტულესკუ აყენებს შემდეგ პირობებს: საგარეო პოლიტიკაში რუმინეთის ფრანგული ორიენტაციის უცვლელად შენარჩუნება, საგარეო პოლიტიკური საქმეების სავსებით მის ხელში თავმოყრის უზრუნველყოფა. ტიტულესკუ მოითხოვს აგრეთვე სახელმწიფო კამარილის ჩაურეველობას რუმინეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობაში და რუმინეთის ელჩთა პირადი შემადგენლობის განახლებას (ალს).

## ავსტრიის მუშები იბრძვიან ფაშისტების წინააღმდეგ

**ბერლინი**, 4 ოქტომბერი (ტელეფონით). ავსტრიის ფაშიზმი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს დაიპყროს თუნდაც რაიმე პოზიცია ავსტრიის მუშათა კლასში. [illegible]

## იაპონიას ახალი ტაიფუნი ემუქრება

**ტოკიო**, 4 ოქტომბერი. მეტეოროლოგიური ცნობით, იაპონიას უახლოვდება ახალი ტაიფუნი, რომელიც [illegible] (ალს).

# არავითარი თვითდამშვიდება

„პრავდის"-ის მოწინავე 5/X

ტრანსპორტის მრავალი მეთაური თავს იმშვიდებს იმით, რომ მიმდინარე წელს ტრანსპორტი უკეთ მუშაობს, ვიდრე შარშან. აქედან გამოჰყავთ დასკვნა რომ შეგვიძლია დამშვიდებულად ვიყოთ. ასეთი თვითდამშვიდება გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ კაზიონური უდარდელობიდან, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს სინამდვილის ფხიზლად შეფასებასთან.

ცალკე გზებმა (ეკატერინეს, მურმანსკის) მართლაც გააუმჯობესეს თავისი მუშაობა. მაგრამ სამაგიეროდ ბევრი სხვა გზა — რიაზან-ურალის, სამარა — ზლატოუსტის, ომსკის, ტომსკის ძალიან ცუდად მუშაობს.

არაჯანსაღ სიმპტომად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ტრანსპორტი შეჩერდა დატვირთვის განსაზღვრულ ციფრზე. დაწყებული მაისით და გათავებული სექტემბრით, გზები ტვირთავენ საშუალოდ 56—57 ათას ვაგონს დღე-ღამეში. დატვირთვა არ მატულობს, არა ჩანს წინსვლა.

1934 წელს ტრანსპორტმა თვალსაჩინოდ გაზარდა თავისი ტექნიკური საშუალებანი და, მაშასადამე, თავისი შესაძლებლობანიც. ორთქლმავლების პარკმა მიიღო ასობით ახალი ორთქლმავლები, ვაგონების პარკმა — ათასობით ახალი ვაგონები. ტრანსპორტზე მოვიდნენ ახალი ადამიანები — პოლიტგანყოფილების მუშაკები და პარტორგები.

როგორ შეიძლება ერთი ადგილის ტკეპნა და თავის მუგეშება სტატისტიკური შედარებებით?

თუ დაუკვირდებით დატვირთვის ციფრებს (ხოლო ისინი ძირითადად განსაზღვრავენ ტრანსპორტის მუშაობას), დავინახავთ, რომ დატვირთვა სისტემატიურად კლებულობს. თვის დამდეგს და მატულობს თვის ბოლოს. ეს მოწმობს იმას, რომ საექსპლოატაციო მუშაობა ჯეროვანად არ არის მოწყობილი, რომ ტრანსპორტის მეთაურები მოქმედებენ სახანძრო მეთოდებით, რომ არ არის გეგმიანობა და გარკვეულობა.

გზის ხერვა ექსპლოატაცია. საკმარისია ექსპლოატაციის ხელმძღვანელობის შესუსტება, და დატვირთვა დაუყოვნებლივ მცირდება. მაჩვენებლების შესრულება უარესდება უარესდება მთელი გზის მუშაობა.

რას წარმოადგენდნენ ჩვენი გზების საექსპლოატაციო დარგები? ექსპლოატაციის უფროსი—ეს უფრო მეტად წამბიძგებელია და დისპეტჩერია, ვიდრე ოპერატიული ხელმძღვანელი, გზების შტაბის უფროსი.

ექსპლოატაციის უფროსთა მეცადინეობა უმთავრესად მიმართულია იქითკენ, რომ როგორმე დაამთავრონ დღე, თავი გაართვან მოძალებულ კლიენტურას, აღმოფხვრან მოძრაობის შეფერხების შემთხვევები, გაუკეთონ მუშაობას ციფრობრივი ჯამი. ჩვენ ძალიან ცოტა გვყავს ექსპლოატაციის ისეთი მუშაკები, რომელთაც შესწევთ უნარი გაითვალისწინონ, წინასწარ განსჭვრიტონ, დროულად მოახდინონ არსებული რესურსების მობილიზაცია და აამოქმედონ ისინი ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო) მომენტში. ტრანსპორტზე ისწავლეს „საოპერაციო დღის" დამთავრება, მაგრამ ჯერ კიდევ არ შესწევთ უნარი ბოლშევიკურად მოაწყონ მუშაობა.

და მართლაც, სწავლობენ თუ არა ექსპლოატაციის მუშაკები იმ რაიონების ეკონომიკას, რომლებშიაც გადის მათი გზა? ზრუნავენ თუ არა ისინი იმაზე, რომ თავიანთი მუშაობა დაუკავშირონ სხვა სახის ტრანსპორტის—საწყლო, საავტომობილო, საგაპახო ტრანსპორტის მუშაობას.

სამწუხაროდ, არა. რკინისგზელები ძალიან ხშირად ჩივიან, რომ კლიენტურა უარს ამბობს დატვირთვაზე, მაგრამ ბევრ მათგანს არ ესმის, რომ ეს უარი გამოწვეულია იმით, რომ თვით ექსპლოატაციის მუშაკებმა არ იციან დაგეგმვა.

ჩვენ ძალიან ჰრელი ცნობები გვაქვს გზების მუშაობის შესახებ. ზოგიერთ გზაზე ვაგონების გაცდენა სატვირთო ოპერაციების დროს 15 საათს არ აღემატება, სხვა გზებზე იგი 26 საათს აღწევს. ზოგიერთ სადგურზე სატრანზიტო ვაგონი დგას 4 ნახ.—5 საათს, სხვა სადგურებზე 9—10 საათს. აქ არ შეიძლება ყველაფრის ახსნა ტექნიკური მოწყობილობით და ტექნიკური შესაძლებლობებით. მიზეზი უფრო ხშირად მდგომარეობს იმაში, რომ ზოგს აქვს მუშაობის უნარი, ზოგს კი არა აქვს. ზოგს შესწევს უნარი გამოიყენოს თავისი შინაგანი რესურსები, ზოგს კი ამის უნარი არა აქვს. ზოგს აქვს უკეთესთა გამოცდილების გადაღების უნარი, ზოგი კი ამჯობინებს მველებურად მუშაობას.

სადგურების შეჯიბრებამ და დეპოების შეჯიბრებამ მოგვცა მუშაობის მთელი რიგი ახალი მეთოდები, რომლებიც აძლიერებს დატვირთვას, აუმჯობესებს ტრანსპორტის მუშაობას.

მაგალითად, ხოვრინოს სადგურმა შემოიღო წინასწარი ინფორმაცია ტვირთის მოძრაობის შესახებ და მატარებლების აღრიცხვა შემოსასვლელებზე. ამან სატრანზიტო ვაგონების გაცდენა ერთბაშად შეამცირა 5 საათით.

ისმება კითხვა: რამდენი სადგური იყენებს ამჟამად ხოვრინოს მეთოდს? ძალიან ცოტა.

ავიღოთ ცვლითი დაგეგმვა ბათუმში, ვაგონების რემონტი ბატაისკის დამხარისხებელ პარკებში, ოპერატიულ - ტექნიკური გეგმა, შემოღებული დონეცის გზაზე, კორჩენკოს ზონური მოძრაობა. მუშაობის ეს ახალი მეთოდები არ არის ფართოდ გავრცელებული, მათი გამოყენება ხდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს მეთოდები წარმოიშვა.

პარტიამ და მთავრობამ წინადადება მისცეს ტრანსპორტს ყოველნაირად გამოეყენოს უკან დაბრუნებული ცალიერი ვაგონები (ჩვენში ბევრი ცალიერი ვაგონი ჩაუვლის ხოლმე ტვირთს, რომელიც თვეობით ელოდება გაგზავნას). აგვისტოში გზათა სახალხო კომისარიატის ექსპლოატაციის სამმართველომ მოახდინა უკან დაბრუნებული ცალიერი ვაგონების გამოყენების შემოწმება ხუთ გზაზე. ამ გზებზე ცალიერი ვაგონებით შეიძლებოდა 30 ათასი ვაგონი ტვირთის გაგზავნა, ხოლო ექსპლოატაციის დარგის მუშაკებმა გეგმაში შეიტანეს მხოლოდ 12 ათასი ვაგონის გაგზავნა.

საერთოდ, ექსპლოატაციის დარგის მუშაკებს არ შეუძლიათ დაიკვეხონ საწარმოო დისციპლინა. ავიღოთ ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, როგორიცაა მომწესრიგებელი ბრძანების შესრულება. ვაგონების განაწილება ძალიან რთული საქმეა. ვაგონები უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ გზები, რომელთაც აქვთ დიდი და საპასუხისმგებლო დატვირთვა, სავსებით უზრუნველყოფილი იქნენ ვაგონებით. ამავე დროს, მრავალი ათეული ბრძანების მიუხედავად, დონეცის, ტომსკის და სამხრეთ-აღმოსავლეთის გზები ახლაც კი ვაგონების მწვავე კრიზისს განიცდიან, ხოლო ისეთ გზებს, როგორიცაა ოქტომბრისა და ყაზანის, ზედმეტი ვაგონები მოეპოვებათ. კიდევ მეტი, ამ გზების უფროსები—სინევი (ოქტომბრისა) და კუჩმინი (ყაზანისა)—ცდილობენ გააჭიანურონ ჩაბარების ვადა, ხელმძღვანელობენ რა ცუდად გაგებული „საკუთარი" საგზაო ინტერესებით.

გზათა სახალხო კომისარიატი მეტ წილად თვითონ არის დამნაშავე იმაში, რომ ექსპლოატაციის ხელმძღვანელები მოძრაობის ორგანიზატორებიდან გადაიქცენ წამბიძგებლებად, დისპეტჩერებად.

ძალიან ხშირად გზათა სახალხო კომისარიატიდან „სასწრაფო წესით" ეძლევა გზებს ტექნიკურად დაუსაბუთებელი მანქანებლები. კიდევ უფრო ხშირად გზათა სახალხო კომისარიატის მუშაკები, აწვდიან რა გზებს გეგმებს, შემდეგ უგზავნიან იმდენ შესწორებას, რომ გეგმა სრულიად გაუგებარი ხდება.

ექსპლოატაციის დარგის მუშაკთა თათბირზე, რომელიც გაიმართა გზათა სახალხო კომისარიატში 1 და 2 ოქტომბერს, სამხრეთ-აღმოსავლეთის გზის ლიხოვსკის განყოფილების პოლიტგანყოფილების უფროსმა ამხ. პეტროსიანმა მოიყვანა გზათა სახალხო კომისარიატის მუშაკების მიერ გზებზე არსებული მდგომარეობის უდარდელი უცოდინარობის ანეგდოტური ფაქტი. (გამოტოვებულია).

ირკვევა, რომ გზათა სახალხო კომისარიატის მუშაკებმა, რომელნიც მოისუსტებენ გეოგრაფიაში, ლიხოვსკის განყოფილება მიაკუთვნეს თბილ კლიმატურ სარტყელს.

დაიწყო შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვა, დაიწყო მუშაობის ის პერიოდი, რომლისთვისაც ტრანსპორტი მთელი ზაფხულის განმავლობაში ემზადებოდა.

თუმცა ოქტომბერში გეგმა წინანდელი რჩება, მაგრამ ტვირთების შეფარდება საგრძნობლად იცვლება. პირველ ყოვლისა მატულობს პურის, ბოსტნეულის, ბამბის გაზიდვა.

რას ნიშნავს ეს? ჩნდება დატვირთვის ახალი პუნქტები, იზრდება წვრილი სადგურების როლი, იცვლება ტვირთის ნაკადის სახე, იზრდება ტვირთის შენახვის მოთხოვნები.

ეს, პირველ ყოვლისა, ნიშნავს, რომ ექსპლოატაციის დარგის მუშაკებმა უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური მოქნილობა და ოპერატიულობა. წარმატება დამოკიდებულია მათ ხელმძღვანელობაზე, მათ ოსტატობაზე. მათი მუშაობა ამჟამად მოწმდება დატვირთვის სადგურებზე, მოწმდება მატარებლების მოძრაობით; გამოსავალი ხაზების მუშაობით, გრაფიკის შესრულებით, ცალიერი ვაგონების გამოყენებით, მარშრუტიზაციის განვითარებით, ტვირთზიდვის გეგმის შესრულებით.

ტრანსპორტის წინაშე დასახულია დიდი ამოცანები. თვითდამშვიდება და უდარდელობა ყოვლად დაუშვებელია.

# თესვის გეგმები შესრულებულია

## ალაზანი

სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საფუძველზე, კადრების სწორად განაწილების შედეგად, ალაზნის საბჭოთა მეურნეობამ საშემოდგომო მარცვლეული დათესა 3524 ჰექტარზე, გეგმა შესრულებულია ვადამდე 100,7 პროცენტით.

გასულ წელთან შედარებით წელს თესვა 22 დღით ადრე დავამთავრეთ.

თესვის დროს მტკიცედ იქნა გატარებული აგროტექნიკური ღონისძიებები. თესვა გრძელდება.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ომაროვი**
პარტკომი — **დოლიძე**
მუშკომი — **ზვერიაშვილი**

## შირაქი

შირაქის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობამ 7556 ჰექტარზე [illegible] 1 ოქტომბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა [illegible] გეგმა. — [illegible]

ი. ჭოღუა

# პურის ჩაბარება საბჭოთა კავშირში

**მოსკოვი**, 4 ოქტომბერი. 1 ოქტომბრისათვის საბჭოთა კავშირში პურის ჩაბარების გეგმა (სამინდე გამოსაღების გამოკლებით) შესრულებულია 85 პროცენტით, შარშან კი იმავე რიცხვისათვის შესრულებული იყო 75,4 პროცენტით. მარცვლეულის ჩაბარების გეგმა საკოლმეურნეო — გლეხურ სექტორში შესრულებულია 88,8 პრ-ით, ნატურგადასახადის — 73,8 პრ-ით, სესხის დაბრუნების — 82,7 პრ-ით. **პურის ჩაბარების გეგმა საბჭოთა მეურნეობებში შესრულებულია 79,1 პროცენტით.**

მოსკოვის, [illegible], [illegible]ის, ლენინგრადის და კიევის ოლქების, ყირიმისა და გორკის მხარის, ამიერკავკასიის თურქმენისტანის და თათართა რესპუბლიკის შემდეგ, გეგმა შეასრულეს ხარკოვის და ჩერნიგოვის ოლქებმა.

წინანდებურად შეუწყნარებლად ჩამორჩებიან პურის ჩაბარებას აღმოსავლეთის რაიონები. განსაკუთრებით მკვეთრად ჩამორჩებიან დასავლეთ ციმბირი, აღმოსავლეთ ციმბირი, ჩელიაბინსკის ოლქი და ყაზახეთი.

სამხრეთ რაიონებში ჩამორჩებიან ჩრდილოეთ კავკასიის და სტალინგრადის მხარეები (აღს-

ნახატი მხატ. ლ. [illegible]



ხაშის რაის ახალი [illegible]

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

# სარაიონთაშორისო კონფერენციები

## მეცხოველეობის საკითხებზე

### გორი

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

გორში მოწვეულ სარაიონთაშორისო კონფერენციამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. შ. ნამგალაძე, განიხილა მეცხოველეობის საკითხები, დაკავშირებული უმთავრესად **პირუტყვის საზამთროდ დაბინავებასთან.**

საკვების მომზადება და მისი ბინებზე მიზიდვა, ახალი ბოსლების მშენებლობა და არსებულების შეკეთება, ზოოვეტმომსახურება, დაგრილების კამპანია, კოლმეურნეობებთან ფერმების ჩამოყალიბება, უძრ. თხოობის ლიკვიდაცია — აი ის საკითხები, რომლის გარშემო კონფერენციამ მოისმინა პარტრაიკომის მდივნების: ამხ. **გელაშვილის** (გორი), **ქელევლიშვილის** (კასპი) და **თალაკვაძის** (სტალინისი) მოხსენებები.

თანამოხსენებებით და კამათში გამოვიდნენ: ამხ. **კალანდაძე** (გორის რაიაღმასკომი), ამხ. **ბურაკოვი** (გორის რაიმიწგანი) ამხ. **შილოკაძე** (სტალინის რაიმიწგანი) ვეტექიმი **ტეპაშვილი**, ზოოტექნიკოსი **ბესტავაშვილი** (გორი), ვეტექიმი **ბორტიშვილი**, ზოოტექნიკოსი **ჩხიკვაძე** (სტალინისი), **გოიშვილი** (საქ. მიწსახკომის სპეციალისტი) და სხვ.

★

მოხსენებებიდან და კამათში გამოსულ ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, რომ სამივე რაიონში ადგილი აქვს მსხვილფეხა რქოსან საქონლის, ღორისა და ცხვრის თვალსაჩინო ზრდას. მაგ., თუ 1933 წლის სტალინისის რაიონში ითვლებოდა 37.299 სული მსხვილფეხა პირუტყვი, წელს უკვე ირიცხება 44.205 განსაკუთრებით ნამატის ზრდის თვალსაჩინო მაჩვენებლებს იძლევა ცხვარი და ღორი.

კასპის რაიონში შარშან ითვლებოდა 20.740 მსხვილფეხა საქონელი, წელს ეს რაოდენობა 32 ათასამდე გაიზარდა. ასეთი და უფრო უკეთესი მდგომარეობაა გორის რაიონში სადაც წელს პირუტყვის რაოდენობა უდრის 73.067-ს.

მაგრამ ამასთანავე კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ მიუხედავათ პირუტყვის სულადობის **საერთო** ზრდისა, უმთავრესად კასპისა და სტალინისის რაიონებში მუშა-პირუტყვის რაოდენობა კლებულობს.

მაგ. შარშან სტალინისის რაიონში ითვლებოდა 18.000 სული მუშა-პირუტყვი, წელს კი მათ ჰყავთ 16 ათასი თითქმის ასეთივე მდგომარეობაა კასპის რაიონში.

მუშა-პირუტყვის რაოდენობის ასეთი დაკლება გამოწვეულია იმით, რომ ადგილებზე **მოუწესრიგებელია კვებისა და მოვლის საქმე.** ბევრგან შესუსტდა მზრუნველობა პირუტყვისადმი და, რაც მთავარია, სათანადო ყურადღება არ ექცევა ხახარე მოზვრების გამოზრდას.

სტალინისის რაიონის ვეტექიმის **ბორტიაშვილის** განცხადებით, ბრეთის ხაზმოთა კოლმეურნეობაში მოუვლელობითა და გაუფრთხილებლობით 4 ცხენი მოკვდა.

ხოლო **ღირბის** კოლმეურნეობის ზოგიერთი წევრები განსაზოგადოებულ მუშა-პირუტყვს ღამე (ფარულად) თავიანთი პირად საჭიროებისათვის იყენებდნენ. პირუტყვს განუწყვეტლივ ამუშავებდნენ ამის გამო ხსენებულ კოლმეურნეობის პირუტყვი დაჯანდაგებულია, ადგილი აქვს დაცემასაც.

### დავაჩქაროთ საკვების ადგილზე მიზიდვა

როგორც რაიკომების მდივნებმა განაცხადეს, მათ უხვი საკვების საგრძნობი რაოდენობა მოეპოვებათ. ამ დარგში მდგომარეობა მართლაც დამაკმაყოფილებელია მაგრამ ცუდათაა საქმე საკვების ადგილზე მიზიდვისა და დაბინავების მხრივ.

სამივე რაიონში (გორი, კასპი სტალინისი) არადამაკმაყოფილებლად წარმოებს **კონცენტრიული** საკვების დამზადება. მაგ. გორის რაიონში გეგმით დაწესებულ 3402 ცენტნერიდან დამზადებულია მხოლოდ 920 ცენტ., კასპის რაიონში დამზადებულია 2.000 ცენტნერი, ნაცვლად 2.553 ცენტნერისა.

დასილოსებაც ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს.

მიუხედავად სადირექტივო ორგანოების არაერთი დადგენილებისა, საკვების დასილოსების გეგმა არ სრულდება. სტალინისის რაიონს გეგმა შესრულებული აქვს 12 პროცენტით — ცემენტი არა გვაქვს, საკვები ნაკლებია — აი რითი იმართლებენ თავს რაიონების ხელმძღვანელი ამხანაგები.

ზოგან სასილოსე კოშკებიც აუგიათ და ორმოებიც გაუთხრიათ, მაგრამ საკვების დასილოსებაზე ნაკლებად ზრუნავენ. მაგალითად, სოფ. **ქარალეთის** (გორი) კოლმეურნეობამ ააგო კოშკი — 400 ტონას ტევადობით, ფაქტიურად დასილოსა მხოლოდ 300 ტონა.

### განსაკუთრებული ყურადღება ბინების მშენებლობას

კულტურულად მოწყობილი, თბილი ბინები და არსებულ ბოსლების ზამთრისათვის ყოველმხრივ წესრიგში მოყვანა — შეადგენდა და შეადგენს რაიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციების საბრძოლო ამოცანას ამ მხრივ, როგორც ეს კონფერენციაზე აღინიშნა, ცუდი მდგომარეობაა. მთელ რიგ კოლმეურნეობებს არ გააჩნიათ განსაზოგადოებული ბოსლები, ზოგან დაიწყეს მშენებლობა და აღარ დაამთავრეს. მაგ. **კასპის** რაიონში გეგმით გათვალისწინებულ 32 ბოსლიდან აგებულია მხოლოდ 12 ბოსელი; 11 ბოსლის აგება დაწყებულია, 9 კოლმეურნეობაში სრულიად არ მოუკიდიათ ხელი მშენებლობისათვის.

სტალინისის რაიონში უნდა აეშენონ 10 ბოსელი, ფაქტიურად მხოლოდ 8 ბოსელია მზად.

საჭიროა ადგილებზე მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ხე-ტყისა და სხვა საამშენებლო მასალის შინაგანი რესურსები.

### გავაძლიეროთ ზოოვეტმომსახურება

— ხელფასს დაგვიანებით გვაძლევენ, ტრანსპორტი არა გვაქვს, შორ მანძილზე გვიხდება ფეხით სიარული — ასეთი საყვედურებით გამოვიდნენ კონფერენციაზე ვეტექიმები და ზოოტექნიკოსები.

სწორედ ამიტომაა, რომ ხსენებულ რაიონებში ზოოვეტმომსახურება ძალზე მოისუსტებს.

— ყველგან არ არის პროფილაქტიური ზომები დაცული. „კარანტინი“ დროზე არ გამოაცხადეს — და ამიტომაა, — ამბობს ვეტექიმი **ბორტიშვილი**, — რომ რაიონებში თავი იჩინა პირუტყვის ავადმყოფობამ.

სპეციალისტების ხელფასის დროზე გასტუმრება, მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ტრანსპორტის საკითხის მოგვარება — აი რაიონულ ხელმძღვანელ ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა.

★

კონფერენციაზე საკმაოდ ილაპარაკეს აგრეთვე დაგრილების კამპანიის და ხბოების კონტრაქტაციის მიმდინარეობაზე ამ დარგებში, სამივე რაიონს ჩამორჩენა აქვს

მოხსენების, თანამოხსენებებისა და კამათის დამთავრების შემდეგ კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ამხ. **შ. ნამგალაძემ.** აქვე **გამომუშავებულ იქნა ლონისძიებები** პირუტყვის გამოზამთრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებების უახლეს პერიოდში გამოსასწორებლად.

**პირუტყვის გამოზამთრების უკეთ მოწყობისათვის გორის რაიონმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სტალინისისა და კასპის რაიონები**

# საბჭოთა კავშირში

### ამხ. ეიდემანის დეპეშა

**მოსკოვი,** 4 ოქტომბერი. თავდაცვისავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ეიდემანმა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის სახელით კოკტებელში გაგზავნა შემდეგი მისალმების დეპეშა:

„მხურვალედ მივულოცავ ამხ. „სუხომლინოვს“ ორადგილიანი პლანერით ფრენის ხანგრძლივობის ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას ჩვენ ვფიქრობ, რომ პლანერისტ-რეკორდსმენთა ოჯახს კიდევ ერთი სასიქადულო სახელი შეემატა. უფრო მაღლა ავწიოთ საბჭოთა პლანერისტების ოსტატობისათვის ბრძოლის დროშა“.

(ტასს)

### წითელი არმიის რიგებში გაწვევა

**კიევი,** 4 ოქტომბერი. უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის დედაქალაქის შემდეგ წითელი არმიის რიგებში გაწვევა დაიწყო ხარკოვშიც. კიევის და ხარკოვის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გაშალეს შეჯიბრება წვევამდელთა უკეთ მომსახურებაზე.

პირველ ოქტომბერს გაწვევა დაიწყო უკრაინის მრავალ ქალაქში — დნეპროპეტროვსკში, ტირასპოლში, კოროსტენში, დონბასის სამრეწველო ცენტრებში. გასაწვევ პუნქტებზე მთელი 100 პროცენტით ცხადდებიან კარგად არის მოწყობილი წვევამდელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, განსაკუთრებით კიევსა, სტალინოსა და ხარკოვში.

გაწვევაში არასაკმაოდ აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ფიზკულტურული ორგანიზაციები (ტასს).

# საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანია დაიწყო

(ქუთაისი. ჩვენი საკუთარი კორესპონდ.)

ქუთაისის ქალაქის საბჭომ 20 სექტემბრიდან უკვე გაშალა ფართო მოსამზადებელი მუშაობა საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიისათვის. როგორც ქალაქი, ისე სოფელი საარჩევნო უბნებად არის დაყოფილი, დამუშავებულია ქალაქის საბჭოს მიერ შედგენილი გეგმა. ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად მიმაგრებული არიან ქალაქის საბჭოს აქტივის წევრები და ინსტრუქტორები. განათლების სექციის დეპუტატებმა სასკოლო მუშაობის დარგში მთელი რიგი ახალი ვალდებულებანი იკისრეს და შეჯიბრებაში გამოიწვიეს ჯანმრთელობისა და საგზაო სექციის დეპუტატები მიმდინარე საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით მოსამზადებელი მუშაობის უკეთ ჩასატარებლად.

ამ მხრით დაწინაურებული არიან რაიონის ზოგიერთი სასოფლო საბჭოები, პაგალ., ჰოგნარი, ოფურჩხეთი, წყალტუბო, ქვიტირი. ჰოგნარის სასოფლო საბჭომ კოლმეურნე და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მონაწილეობით დაამუშავა ლანჩხუთის რაიონის მამათის სასოფლო საბჭოს აქტივის მოწოდება. თავის მხრივ ჰოგნარის სასოფლო საბჭომ მამათელების საპასუხოდ მიიღო მთელი რიგი ვალდებულებანი საბჭოს ანგარიშგადარჩევების წარმატებით ჩატარებისათვის. ვალდებულებაში მოყვანილია 944,7 ჰექტარი სიმინდის, 136,7 ჰექტარი სოიას და 35 ჰექტარი [illegible] 15 ოქტომბრამდე აღება, საგზაო მშენებლობის გეგმის შესრულება პირველ დეკემბრამდე, საა[illegible]ეული ხვნის გეგმის შესრულება მომავალ წლის პირველ იანვრამდე, საქონლის ბოსლების მშენებლობის დამთავრება პირველ ნოემბრამდე, მეცხოველეობის განვითარება ყველა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო დავალებათა 25 ოქტომბრამდე მთლიანად შესრულება, 1912 წელში [illegible]ებულთა გაწვევის წარმატებით ჩატარება, მასწავლებელთა უზრუნველყოფა თავის დროზე ხელფასით და სხვა.

ოფურჩხეთის სასოფლო საბჭომ 2 ოქტომბერს გაზეთ „სტალინელში“ გამოაქვეყნა წერილი საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის მზადების შესახებ. მიმართვაში ოფურჩხეთის სასოფლო საბჭო კისრულობს მიმდინარე საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის სანიმუშოდ ჩატარებას. ვალდებულებაში გათვალისწინებულია ჩაის დასათესი ფართობის მომზადება ნაცვლად 15 ჰექტარისა 16,5 ჰექტარზე ჩაის დათესვა 10 ჰექტარზე, 25 საძროხე ხბოს შეძენა, პირველ ოქტომბრამდე ხორცის, ყველის და მატყლის სავალდებულო ბარების გეგმების შესრულება, ჭალაროებიდან 450 ტონა ბარიტის ჩამოზიდვა და სხვა..

ქვიტირის სასოფლო საბჭომ იკისრა შემდეგი ვალდებულებანი: მოსავლის უდანაკარგოდ აღება და გასაწილება, საშემოდგომო ბოსტნეულის თესვის გეგმის გადაჭარბებით შესრულება, სოფლის მშრომელი ქალების დარაზმვა საბჭოების მოსამზადებელი მუშაობის ფართოდ გაშლაში და სხვ.

მაგრამ არიან სასოფლო საბჭოები, რომლებიც ჯერ კიდევ მოსამზადებელ მუშაობაში თვითდინებას ეყრდნობიან. ასეთებია: საყულიის, რიონის, ნამახვანის სასოფლო საბჭოები, რომლებიც ჯერაც არ შეუდგომიან კონკრეტულ გეგმიან მუშაობას და ზევიდან დირექტივების მოლოდინში არიან. ეს განწყობილება დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას.

15 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე ჩატარდება საბჭოების საანგარიშო კამპანია, ხოლო არჩევნები დაიწყება 15 ნოემბრიდან სოფლად და 25 ნოემბრიდან ქალაქად. განჯის ქალაქის საბჭომ საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის უკეთ ჩასატარებლად სოცშეჯიბრში გამოიწვია ქუთაისის ქალაქის საბჭო, ხოლო თავის მხრივ ქუთაისის ქალაქის საბჭომ შეჯიბრებაში გამოიწვია ლენინაკანის და ბათომის ქალაქის საბჭოები.

ვ. ლალიაშვილი.



ტფილისის ტრამვაის სარემონტო სამქროს კომკავშირის ბრიგადამ იკისრა საბჭოების გადარჩევებთან დაკავშირებით გეგმის ზევით გამოუშვას კაპიტალურ შეკეთებიდან ერთი ვაგონი.
**სურათზე:** ბრიგადა მუშაობის დროს.

## პრესის მიმოხილვა

# იქ, სადაც ბატონობდა ბეგი ხიმშიაშვილი

### „კოლექტიური შრომა“ (ხულო, აჭარისტანი)

ეს იყო ამ ცამეტ-თოთხმეტიოდე წლის წინად... 6 ათასი კომლის ბედს ბეგი ხიმშიაშვილი სწყვეტდა. მშრომელი გლეხკაცობა გმინავდა ბატონისა და აღის ხოჯის [illegible] უღლის ქვეშ...

თუ მძიმე და აუტანელი იყო გლეხკაცის მდგომარეობა, ორმაგად მძიმე და აუტანელი იყო გლეხი ქალის ბედი. უუფლებობასა, ჩამორჩენილობასა და უვიცობას გლეხი ქალისათვის აქ ზედ ერთვოდა რელიგიური და ოჯახური მონობა. შეუსვენებელი შრომა ოჯახში და მინდვრად, ჩადრი და ყორანი — ასეთი იყო მშრომელი ქალის ბედი.

ფეოდალური ურთიერთობის ნაშთები აქ უცვლელი დარჩა — მენშევიკური „დემოკრატიის“ გაბატონების შემდეგაც, ისევ უმიწობა, უუფლებობა, კულტურული ჩამორჩენილობა და სიბნელე.

1920 წელში ორმოცათასიან მოსახლეობას ემსახურებოდა მხოლოდ ორი პირველდაწყებითი სკოლა... არც გზა, არც ხიდი, არც კოოპერატივი, არც არავითარი კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება... ასე იყო ამ 13 წლის წინად.

★

ყოფილი ბათომის ოლქის ხულოს უბანი, დღეს აჭარისტანის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ხულოს რაიონი ოთხმოცი კილომეტრით არის დაშორებული ბათომს. უზარმაზარი კრაილა ავტობუსები თავისუფლად დასრიალებენ აჭარის მთის კალთებზე თეთრი ზოლივით დაფენილ შარა-გზაზე.

ძველი ხულოზე დღეს მხოლოდ მწარე მოგონება-ღა დარჩა. ხულოელ „უგვირგვინო მეფის“ — ბეგ ხიმშიაშვილის ხსენებამ კარგა ხანია თქვენი პირი წაიღო. უკვე ცამეტი წელია მშრომელი გლეხკაცობა, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, სჭედს ახალ, მხიარულ, მომავლის ბრწყინვალე პერსპექტივებით მოელვარე ცხოვრებას.

ოცდა ათი ათასმა ხულოელმა წერა-კითხვა შეისწავლა. რაიონის ას თექვსმეტ სკოლაში თავმოყრილია 5.200 მოსწავლე. რაიონი დაისერა შარა-გზებით, სოფლები დაიფარა კოოპერაციის და კულტგანმანათლებელი დაწესებულებების ქსელით. რაიონის 115 კოლმეურნეობა სამი ათასამდე მოწინავე მშრომელს აერთიანებს.

ხულოს რაიონს საკუთარი ბეჭდვითი ორგანოც გაუჩნდა. რაიონულ გაზეთს — „კოლექტიურ შრომას“ მკითხველთა მრავალრიცხოვანი კონტინგენტი ჰყავს. გაზეთმა თავის გარშემო დარაზმა გლეხკორთა საკმაო რაზმი. „კოლექტიურ შრომას“ აღრიცხული ჰყავს 60-მდე გლეხკორი. აქედან 40 აჭარელი გლეხკორია. ისრაფილ მიქელაძე, ალი ჯაიანი, სული ხალვაში, ალი ცეცხლაძე, ხასან დავითაძე, ისაყ ბერიძე ილიას რიჟვაძე, არიფ მახარაძე, სიზჩი აბულაძე რიზალი საგინაძე, ხულუს მიქელაძე, რიზა დეკანაძე, ისმაილ სოლომონიძე და მრავალი სხვა — აი ხულოს რაიონული გაზეთის გლეხკორთა აქტივი, რომელიც სისტემატიურად მუშაობს გაზეთში.

ხულოს რაიონული პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით, გაზეთი ენერგიულად იბრძვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტებზე.

„გავხადოთ ხულო მეცხოველეობის მძლავრ რაიონად“ — ამ ლოზუნგით დაიწყო არსებობა და ბრძოლა „კოლექტიურმა შრომამ“ 1933 წლის პირველ მაისიდან, როდესაც გამოვიდა გაზეთის პირველი ნომერი.

„კოლექტიური შრომა“ სისტემატიურად, იბრძვის მესაქონლეობის განვითარებისათვის. გაზეთის თითქმის ყოველ მეორე ნომერში ქვეყნდება გაზეთის მიერ ჩამოყალიბებულ ბრიგადების, ან მის მიერ მოწყობილ გლეხკორთა რეიდების მასალები რაიონის ყოველი კუთხიდან, საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებიდან, ინდივიდ. გლეხთა მეურნეობიდან. გაზეთი ამჟღავნებს დაუდევრობის, ჩამორჩენილობის, ცუდი მუშაობის ფაქტებს.

**სოფ. დარჩიძეების და შუბანის მესაქონლეების კოლმეურნეობების გამგეობებმა უსაქმო ლაყბობას ჯერ კიდევ თავი ვერ დაალწიეს...**

გაზეთი ამხელს დარჩიძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარეს — ბოლქვაძეს და შუბანის კოლმეურნეობის თავმჯდ. სულაბერიძეს, რომლებიც ორი თვეა ეძებენ ბოსლის ასაგებ ადგილს, მაშინ, როცა ამ კოლმეურნეობას აქვს ისეთი ადგილი, სადაც ზოოტექნიკოსების დასკვნით საუკეთესო იქნება ბოსლის აგება.

გაზეთი ამასთანავე ასახელებს საკოლმეურნეო ფერმებს, სადაც სამაგალითოდ არის დაყენებული საქონლის მოვლა-პატრონობის საქმე.

**მაწყვილათის მესაქონლეობის კოლმეურნეობის „ვარსკვლავი“-ს გამგეობამ... თვალსაჩინოდ გააუმჯობესა საქონლის კვება კონცენტრიული საკვებით, სისტემატიურად სწმენდენ ბოსელს, ყოველდღე ასუფთავებენ და ბანენ საქონელს.**

გაზეთი ასახელებს ცოცხალ ადამიანებს, რომლებიც იძლევიან მუშაობის საუკეთესო მაგალითებს:

**საქონლის მომვლელ ამხ. ხუსეინ ზოიძეს, აუხსნა თუ არა ზოოტექნიკოსმა საქონლის მოვლის წესები, იგი მის შემდეგ საუკეთესოდ უვლის საქონელს, საუკეთესოდ უვლის ხბოებს აგრეთვე მწველავი ქალი ხატიჯე ზოიძე.**

გაზეთი არ კმაყოფილდება კოლმეურნეობების მუშაობის შემოწმებით. „კოლექტიური შრომა“-ს ბრიგადები ათვალიერებენ ინდივიდ. გლეხურ მეურნეობებსაც.

**საქონელს ცუდად უვლიან: ოსმან, დურსუნ სოლომონიძეები და ისმაილ სურმანიძე... ალი ხულთან ზანდარაძე ცდილობს მთავრობის შეცდომაში შეყვანას... ხუსეინ მამალაძე ზარმაცი კაცია... მევლუდ სურმანიძის შავი ბულა კარგად მოვლილი და საუკეთესო ჯიშისაა... დეკანოიძეებში საუკეთესო მესაქონლეებია. ისმაილ სოლომონიძის ბულა 176 კილოგრამს იწონის...**

ასეთი სათაურებით გაზეთი ათავსებს ცოცხალ, კონკრეტულ მასალას რაიონის ყოველი სოფლიდან.

გაზეთი აქტიურად ჩაება საკავშირო რეიდში მეცხოველეობის დარგში მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებების და ამხ. სტალინის მითითებათა შესრულების შესამოწმებლად. ხბოების, ბატკნების და კვიცების მოგების, ნამატის შენარჩუნებისა და გამოზრდის, დაგრილების კამპანიის, საკვები ბაზის განმტკიცების, საუკეთესო ზოოტექნიკური და ვეტერინალური მომსახურების, მწყემსთა ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების და სხ. საკითხები — აი რის გარშემოა გამახვილებული გაზეთის ყურადღება მესაქონლეობის აღმავლობისათვის ბრძოლის დარგში.

**ხულოს რაიონი მეთამბაქოობის რაიონიცაა.** გაზეთი აქაც აქტიურად იბრძვის გეგმის (330 ჰექტ.) შესრულებისათვის, თამბაქოს სანერგეების საუკეთესო მოვლისათვის, თამბაქოს პლანტაციების მაღალხარისხოვნად დამუშავებისათვის, თამბაქოს საშრობების რემონტისა და მშენებლობის გეგმის ვადაზე დამთავრებისათვის, მეტეხვის კამპანიის სწრაფად ჩატარებისათვის.

აქაც კონკრეტული, ოპერატიული მუშაობის ნიმუშები...

რაიონული გაზეთის [illegible] ბას იჭერს **კულტურული ფრონტი, პირველ რიგში — სკოლა.**

„კოლექტ. შრომა“ იცნობს აჭამების 1933-34 სასწავლო წლის შედეგებს:

სკოლაში ჩაბმული იყო 5.012 მოწაფე. აკადემიურად ჩამორჩა და ვერ აწარმოებს 1470 მოწაფე. საშუალო აკადემიური წარმატება — 86 პროც., აბსოლუტური წარმატება — 66.6 პროც. სასკოლო მუშაობის კარგად დაყენებისათვის გარდამავალი დროშა შეინარჩუნა ხიხაძირმა.

„კოლექტ. შრომა“ უკვე ივლისიდან იწყებს ახალ სასწავლო წლისათვის სამზადისის საკითხების გაშუქებას. აჭარისტანის პედტექნიკუმიდან 11 აჭარელ მასწავლებელ ქალის გამოშვებას გაზეთი იყენებს საგიტაციო მასალად აჭარელ ქალთა მასების კულტურული დონის ამაღლებისათვის.

**.. გამოშვებულთა შორის 11 აჭარელი გოგონაა, რომლებიც განაწილდებიან პედაგოგიურ სამუშაოზე ჩვენს სოფლებში.**

გაზეთი მწუხარებით აღნიშნავს, რომ

**ამ გამოშვებულთა შორის აჭარისტანის ყველა რაიონებიდან არიან, სამწუხაროდ არც ერთი არ არის ხულოს რაიონიდან**

გაზეთი მოუწოდებს რაიონის მშრომელთ:

**წელს მეტი აჭარელი გოგონები ჩააბან სკოლებში სკოლებს უნდა მიემატონ ათეული და ასეული აჭარელი ქალები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება ესოდენ საჭიროება სოფელს კულტურული წინსვლის საქმეში.**

და მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დაბეჩავებული, ბეგისა და ოჯახის მონა აჭარელ ქალს, გზა გაეხსნა სამეურნეო, საზოგადოებრივ და კულტურულ სარბიელისაკენ.

„კოლექტიურ შრომას“ მოჰყავს მეტად საინტერესო ცნობები:

**რაიონის 115 კოლმეურნეობაში გაერთიანებულია წევრებად 1515 აჭარელი ქალი... ზოგიერთი მათგანი კოლმეურნე მამაკაცებისათვის მისაბაძ მაგალითს აძლევს**

გაზეთი ასახელებს რაიონის საუკეთესო კოლმეურნე ქალებს: **ფადიმე, მედინე, ახმე სულგან, ნოხიდე ბერიძეები სალიე მახარაძე, ფარტყუმე შავაძე, გუნეშა ბოლქვაძე, მერიე სურმანიძე, ზექია ბარამიძე ელმაცე მამაცაძე, ზერიჯეთ მიქელაძე, ქუნცი მიქელაძე და სხ.**

რაიონში ქალთათვის გახსნილია [illegible] 23 სკოლა, რომლებშიაც ჩაბმულია 353 აჭარელი ქალი. წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში მეცადინეობს 500 აჭარელი ქალი.

„კოლექტ. შრომა“ უდიდეს პოლიტიკურ, კულტურულ და ორგანიზატორულ როლს ასრულებს რაიონში.

გაზეთის ეს როლი კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს და გაძლიერდეს.

ამისათვის საჭიროა:

გაზეთმა თავის გარშემო კიდევ უფრო ფართოდ დარაზმოს რაიონის გლეხკორ-კორესპონდენტები და სისტემატიური მუშაობა [illegible] მათ შორის;

[illegible] უფრო მჭიდროთ დაუკავშირდეს [illegible] პარტორგანიზაციებს და კოლმეურნეობებს;

მოკლედ, სხარტად, გლეხთა ფართო მასებისათვის მისაწვდომ და [illegible] ენაზე დამუშაოს მთელი საგაზეთო მასალა.

გლეხკორთა და კოლმეურნეთა წერილები გაიხადოს ძირითად მასალად.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გამოქვეყნებულ მასალის მოქმედიანობას, შესრულების შემოწმებას.

# ჩხარის რაიონი მოწინავეა

(ჩხარი „კომუნისტის“ სპეც. ბრიგადისაგან).

ჩხარის რაიონის საგზაო განყოფილებას, საკონტროლო დავალებით საგზაო მშენებლობაზე უნდა გამოეყენებინა 51086 კაცდღე და 37.500 საქონელ-დღე. ფაქტიურად 15 სექტემბრისათვის გამოყენებულია 2.229 კაცდღე (გეგმის 102,2 პროც.) და 57,221 საქონელდღე (დავალების 152,6 პროც.).

ჩხარის რაიონი არ დაკმაყოფილებულა „[illegible]გზატრანსის“ მიერ მიცემული გეგმის შესრულებით, მან წამოაყენა საგზაო მშენებლობის შემხვედრი გეგმა და ამჟამად ისი გადაჭარბებით შესრულებისათვის იბრძვის.

წინეთ ჩხარი ერთ-ერთ უგზო რაიონს წარმოადგენდა, მაგრამ ახლა იგი დაქსელილია საუცხოვოდ ნაშენი ახალი გზებით; სოფ. **რუფოთში,** რომელიც უგზოობის გამო მოწყვეტილი იყო რაიონის ცენტრს, ისეთი გზაა გაკეთებული, რომ ზედ მსუბუქი მანქანები თავისუფლად მისრიალებენ. ასევე ითქმის ზესტაფონი-ჩხარის გზაზე. (გზის სიგრძე 25 კილომ.). თუ ადრე ამ გზაზე ცხენითაც კი სძნელდა მიმოსვლა, ახლა იგი ხრეშმოყრილი „კატოკით“ დატკეპნილია და მთელ სიგრძეზე მცირე ორმოსაც კი ვერ ნახავთ. წინათ შეუძლებელი იყო მიმოსვლა ისეთ დიდ სოფლებში, როგორიც **თუზი** და **თავასაა.** ახლა მათ საუკეთესო გზები აშშენებს. ეს მიღწევები მოპოვებული იქნა პარტიის რაიკომის კონკრეტული ხელმძღვანელობით და საგზაო განყოფილების ენერგიული მუშაობით, საგზაო მშენებლობაში მშრომელი მოსახლეობის შრომითი მონაწილეობის მიზანშეწონილად გამოყენებით და მთელი რიგი სას. საბჭოების აქტიურად ჩაბმით საგზაო მშენებლობაში. **ჩხარის, სიმონეთის, სუფოთის და ეწერის** სასოფლო საბჭოები იძლევიან უგზოობის წინააღმდეგ ბრძოლის საუცხოვო ნიმუშებს. ისინი გეგმის შესრულების მაღალ რიცხობრივ მაჩვენებელთან ერთად გვაძლევენ მაღალხარისხობრივ მაჩვენებლებსაც.

მაგრამ რაიონში მოიპოვება ჩამორჩენილი სას. საბჭოები, რომლებმაც უნდა მიბაძონ ზემოაღნიშნულ მოწინავეებს და ებლავე უნდა გარდაქმნან მუშაობა. მაგალითად **ალისუბნის** სას. საბჭომ (თავმჯდომარე მ. თურქაძე) გეგმა შეასრულა 66 პროცენტით, **თუზის** სას. საბჭომ (თავმჯდომარე მაჩიტაძე) — 56 პროც. და სხვ.

ჩხარის რაიონის საგზაო განყოფილებამ მიტომ შესძლო მუშაობის ასე კარგად დაყენება, რომ განყოფილების ინჟენერები, ტექნიკოსები და ათისთავები ერთსულოვნად იბრძოდნენ გეგმების მაღალი რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებისათვის. მათ შორის განსაკუთრებით განირჩევიან ამხანაგები: **დ. უკლება, ვ. ვაჭარაძე, ვ. აბესაძე, ივ. ცინცაძე და შ. ამირანაშვილი.**

საგზაო მშენებლობას დიდი დახმარება კომკავშირის ჩხარის ორგანიზაციამ გაუწია. კომკავშირის 9 პირველად ორგანიზაციას გაპიროვნებულია გზა ჩხარი — ალისუბანი — 6 კილომეტრის სიგრძით. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კომკავშირის რაიკომმა მოაწყო მასობრივი შაბათობა თერჯოლის გზაზე, 300 კომკავშირელის მონაწილეობით. ამას გარდა კიდევ მოეწყო ორი შაბათობა 115 კომკავშირელის მონაწილეობით. მათ გაშალეს 70 ურემი ხრეში; 80 მეტრზე გაწმინდეს გზის ნაპირის თხრილები და სხვ.

გზის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო პიონერებმაც. მათ შეაკეთეს 100 მეტრზე გზა ჩხარი-სიმონეთის მიმართულებით.

დიდ ენერგიას იჩენდენ კოლმეურნე ქალები. **ჩხარი-გოგნის გზის მშენებლობაზე ერთი შაბათობა მხოლოდ ქალების მონაწილეობით მოეწყო. ლიზა ვერლაშვილი, ზ. ბუხრიკიძე** და სხვები საგზაო მშენებლობის ენტუზიასტი ქალებია.

ა. ჟანკოტაძე, დ. გაბრიაძე,
შ. ჩუბინიძე.

---

აკად. ნ. ს. კურნაკოვი

# მარგანეცი და საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებანი

მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში გაიგზავნა ქიმიკოსთა ბრიგადა აკადემიკოს ნ. ს. კურნაკოვის მეთაურობით. ამ გამგზავრების მიზანი იყო ქიმიის ხაზით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაყენებასთან გაცნობა მეცნიერებათა აკადემიის ამიერ-კავკასიის ფილიალის საქართველოს განყოფილებაში, ამ მუშაობის შეთანხმება მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ დაწესებულებებში წარმოებულ ქიმიურ სამუშაოთა საერთო გეგმასთან, აგრეთვე მთელ რიგ მოხსენებათა წაკითხვა და თათბირების ჩატარება სხვადასხვა საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკულ გამოკვლევათა წრის გაფართოებასთან და ამიერ-კავკასიის სწრაფად მზარდი მრეწველობისათვის საჭირო კადრების მომზადებასთან. ჩვენ ვინახულეთ ტფილისი და გავეცანით მთელ რიგ მის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, როგორიცაა: მეცნიერებათა აკადემიის ტფილისის ქიმიური ინსტიტუტი, გამოყენებით მინერალოგიის ინსტიტუტი, საქართველოს უნივერსიტეტი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ბოტანიკური ბაღი, დაბოლოს, ტფილისის სადნობი ფერომარგანეცის ქარხანა. გარდა ამისა, გავემგზავრეთ ზესტაფონში, სადაც არის საბჭოთა კავშირში უდიდესი ელექტრო-თერმიული ფერომარგანეცის ქარხანა.

ბრიგადის მუშაობა დაკავშირებული იყო, უმთავრესად, მეცნიერებათა აკადემიის ტფილისის ქიმიურ ინსტიტუტთან. რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიკოსი ლ. ვ. პისარჟევსკი. ეს ინსტიტუტი მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში გადაცემულ იქნა 1933 წლის ოქტომბერს, და, აკად. პისარჟევსკის ენერგიის და ავტორიტეტის წყალობით, მოკლე ხანში გადაიქცა ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელ ქიმიურ ცენტრად. ინსტიტუტი შეიცავს სამ განყოფილებას: თეორიულს, გამოყენებითს და ანალიტიურს. თეორიულ განყოფილებას განაგებს პროფესორი მ. ა. როზენბერგი, რომელიც არის აკად. ლ. ვ. პისარჟევსკის უახლოესი თანამშრომელი ქიმიის ხაზით ელექტრო-იონურ წარმოდგენათა სისტემატიური განვითარების დარგში. თეორიული განყოფილების ლაბორატორიები მოწყობილია დანადგარებით და საზომი იარაღებით რომელნიც საშუალებას იძლევიან ვაწარმოოთ მთელი რიგი ექსპერიმენტალური სამუშაოები გეტეროგენული კატალიზის შესწავლის, ქიმიური პროცესების მსვლელობის კატალიზატორების კომბინირებულ ზემოქმედების დარგში და სხვ. გამოკვლევათა დროს სახელმძღვანელო ძაფია ელექტრო-იონური წარმოდგენანი. თეორიულ განყოფილებაში შესასწავლ პროცესებს შორის არის ქიმიური რეაქციები, რომელთაც შეიძლება ექნეთ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, როგორც, მაგალითად, გოგირდოვანი გაზიდან და ჟანგბადიდან გოგირდის ანჰიდრიდის ქიმიური სინთეზის რეაქცია ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით.

გამოყენებითი ქიმიის განყოფილებას ხელმძღვანელობს ინჟ. კ. ი. მანჯგალაძე. ამ განყოფილების სამუშაოები მიზნად ისახავენ ამიერ-კავკასიის ძირითად მინერალურ სიმდიდრეთა — საქართველოს მარგანეცის მადნების, ალუნიტების, ტყვიბულის ქვანახშირის და ფიქალების [illegible] გამოყენებას. მეცნიერებათა აკადემიის ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის ყველაზე უფრო პატარა განყოფილება ანალიტიკური განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. ი. ვ. ტანანაევი. ამ განყოფილების გამოკვლევები ეხება უმთავრესად ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენების დამუშავებას; აგრეთვე სპეციალურად ფტორის ანალიტიკურ ქიმიას.

მეცნიერებათა აკადემიის ტფილისის ქიმიურ ინსტიტუტში რამდენიმე დღეს მიეწყო მთელი რიგი სხდომები ამიერ-კავკასიის ქიმიური საზოგადოებრიობის ფართო წრეების მონაწილეობით, ამ კრებებზე ბრიგადის წევრები აკად. **ნ. ს. კურნაკოვი,** პროფ. **ნ. ი. სტეპანოვი,** პროფ. **ა. ა. გრინბერგი, ვ. ა. ნემილოვი, ნ. ნ. კურნაკოვი** და **მ. ა. ბენდეცკი,** აგრეთვე აკად. **ლ. ვ. პისარჟევსკი,** პროფ. **ა. ა. თვალჭრელიძე** და პროფ. **დ. ს. ზავრიევი** გამოვიდნენ მთელი რიგი მოხსენებებით, რომლებმაც აზრთა ცაცხოველებული გაცვლა-გამოცვლა გამოიწვიეს.

ჩვენს მოხსენებაში მიზნად ვისახავდით გაგვეცნო ამიერ-კავკასიის ქიმიკოსებისათვის წონასწორობითი დიაგრამის — „შემადგენლობა-თვისებების ზოგადი მოძღვრება, ფიზიკო-ქიმიური ანალიზის პრაქტიკული გამოყენება საქართველოს მარგანეცის მადნის და ფერომშენადნობების შესასწავლად, აგრეთვე კომპლექსურ ნაერთების შესწავლის შედეგები, რომლებიც ეხება ზოგადი და ფიზიკური ქიმიის ძირითად პრობლემებს, როგორიცაა არაორგანიული ნაერთების ვრცელი აღნაგობა, და ძირითად თვისებათა თეორია, ღაჟანგვის და აღდგენის რეაქციათა მექანიზმი და სხვ.

თავის მხრივ ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელი მეცნიერ-მუშაკნი თავის მოხსენებებში მიზნად ისახავდნენ გაეცნოთ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიკოსებისათვის საქართველოს და ამიერ-კავკასიის უხვ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოსავლინებლად წარმოებულ გამოკვლევათა შედეგები. მათ თვალსაჩინოდ დაგვანახვეს ნაყოფიერი კვლევითი მუშაობა, რომელიც ბოლო დროს აქ სისტემატიურად ვითარდება.

ბრიგადა მონაწილეობას ღებულობდა აგრეთვე ტფილისის სამეცნიერო ცხოვრების დიდ მოვლენაში — ჩვენი გამოჩენილი ქიმიკოსის, მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ტფილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის და პირველი რექტორის პროფ. პ. მელიქიშვილის ძეგლის გახსნაში.

ტფილისის ფერომარგანეცის გამდნობი სადნობი ქარხნის (დიდუბეში) და ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის დათვალიერებამ ბრიგადის წევრებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. დიდუბის სადნობი ქარხნის აგებასა და დნობადობათა წარმოების მოწყობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ ინჟენერს და მათემატიკოსს, 1931 წელს უდროოდ გარდაცვლილ პროფესორ **გ. ნ. ნიკოლაძეს.**

ზესტაფონში ჩვენ ვნახეთ ფერომარგანეცის გიგანტის ელექტროღუმელთა მუშაობა და 7500 კილოვატის სიმძლავრის ღუმელებიდან ლითონის გამოშვება. ქარხანა აგებულია ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით. მას აქვს მძლავრი სატრანსპორტო მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ნაყოფიერების შემდგომ გაშლას. ბრიგადამ შეაგროვა მეტად ძვირფასი მასალა, რომელიც ასაბუთებს საბჭოთა კავშირისათვის ამ ახალ წარმოებას. ეს წარმოება უფართოეს პერსპექტივებს სახავს საქართველოს მარგანეცის მადნების გამოყენების დარგში.

მიღებულია ახლითი შემადგენლობის ფერომარგანეცის ნიმუშები, შენადნობნი ლითონთა არანორმალური მოქმედებისას, აგრეთვე წიდის, მადნების და სხ. კოლექციები.

მკვლევარის წინაშე დაკვირვებათა უდიდესი დარგი ისახება როგორც ლაბორატორიაში, ისე ქარხანაში. ყველაფერი ეს აყენებს გრანდიოზულ ამოცანას — ავითვისოთ საბჭოთა მარგანეცის — ჩვენი ქვეყნის ამ უმნიშვნელოვანესი ლითონის წარმოება. თუ მითიური არგონავტები მოგზაურობდენ კოლხიდაში ოქროს ვერძის მოსაპოვებლად, თანამედროვე ინჟენერები და ქიმიკოსები, აქ დაკმაყოფილებული უნდა იქნენ დიდათ; აქ ისინი იპოვიან ამ ვერძს მარგანეცის მადანშიც, იმ პროდუქტებშიც, რომლებიც მისგან მზადდება.

ზესტაფონში ჩვენი ჩასვლის გამო, შედგა საქარხნო მუშაკთა კოლექტივის კრება, რომელზედაც ქარხნის მუშაკებმა — ინჟ. **ი. რ. ნიჟარაძემ** და ტრესტის — „სპეცსტალის“ ტექნიკურმა დირექტორმა პროფ. **კ. პ. გრიგოროვიჩმა** გააკეთეს მოხსენებები, სადაც მათ გააშუქეს ფერომარგანეცის წარმოშობის და განვითარების ისტორია, აგრეთვე ფიზიკო-ქიმიური ხასიათის ამოცანები, რომლებიც უნდა გადაიჭრას ქარხნის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით. **ნ. ს. კურნაკოვი, ა. ა. გრინბერგი, ნ. ნ. კურნაკოვი** და **ი. ვ. ტანანაევი** გამოვიდნენ მოკლე ინფორმაციით, მარგანეცის მადანზე და შენადნობზე წარმოებულ ფიზიკო-ქიმიურ გამოკვლევათა შესახებ.

ქარხნის დათვალიერების მიზანი — **ცოცხალი კავშირის დამყარება** მეცნიერებათა აკადემიასა და საქარხნო საწარმოთა შორის — მიღწეულად შეიძლება ჩაითვალოს.

შემდეგში ეს კავშირი უფრო განმტკიცდება და განვითარდება. უახლოეს დროში განზრახულია ფიზიკო-ქიმიური ანალიზის ინსტიტუტის მუშაკთა ჩასვლა ჭიათურის სამადნოებში ჭიათურის მარგანეცის მადნის გეგმაშეწონილი შესწავლის მიზნით, გარდა ამისა, დასახულია მასალების შეგროვება რკინასთან და ნახშირბადთან მარგანეცის შენადნობის დარგში და მათი სისტემატიური გამოკვლევა ფიზიკო-ქიმიური ანალიზის მეთოდებით.

მთელ რიგ დაწესებულებათა მუშაობასთან და თემატიკასთან ბრიგადის გაცნობის შედეგად ნათლად გამოირკვა, რომ აუცილებლად საჭიროა მეცნიერულ-კვლევითი და სასწავლო მუშაობის ზოგიერთი ახალი მიმართულების განვითარება.

**მხარი უნდა დავუჭიროთ მეტალურგიული სექტორის შექმნას ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის გამოყენებითი განყოფილებასთან.** ამას გვიკარნახებს საქართველოს ბუნებრივი რესურსების — მარგანეცის, რკინის, მოლიბდენის და სხვა მადნების სიუხვე. ჭიათურის მარგანეცის ფიზიკო-ქიმიურმა გამოკვლევამ, რომელიც 1933 წ. დაიწყო **ე. ი. როდემ** (მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკო-ქიმიური ანალიზის ინსტიტუტი) და განაგრძო **ნიკოგოსიანმა** (ცენტრალური სამეცნიერო გეოლოგიურ-საკვლევაძიებო ინსტიტუტი) ფრიად საინტერესო შედეგები მოგვცა. ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოთა რიცხვში უნდა შევიდეს აგრეთვე ამიერ-კავკასიის მეტალურგიული ქარხნების პროდუქტთა შესწავლა, პირველ რიგში კი მარგანეცის და სხვა ფერომშენადნობთა გამოკვლევა, რომლებსაც ახლა საქართველოში ვღებულობთ.

ამიერ-კავკასიის მეტალურგიული მრეწველობის გაშლასთან დაკავშირებით უნდა ვიზრუნოთ ახალ მეტალურგიულ წარმოებათა სათანადო კადრებით უზრუნველსაყოფად. **უნდა შეწყდეს სამთო-მეტალურგიული სპეციალობის დაწყებული ლიკვიდაცია ტფილისის ინდუსტრიალურ ინსტიტუტში.** საქართველოს და ამიერ-კავკასიის მზარდი მეტალურგიული მრეწველობა, ფერომარგანეცის წარმოება (ზესტაფონი), დაშკესანის მეტალურგიული ქარხანა, იშვიათი ლითონების (მოლიბდენი და სხ.) მადანთა დაყოფა და გადამუშავება დაჟინებით მოითხოვენ ინჟენერ-ტექნიკურ მუშაკთა ახალ კადრებს. ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობის გამო, მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.*)

ყველა ზემოჩამოთვლილი საკითხი შეადგენდა განხილვის საგანს ბრიგადის და ტფილისის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენელთა თათბირზე, რომელიც საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დასმულ ამოცანათა გადაწყვეტას რეალურად შეუწყობენ ხელს.

ამგვარად, ქიმიკოსთა ბრიგადის მიერ მეცნიერებათა აკადემიის ტფილისის ქიმიური ინსტიტუტის პირველმა დათვალიერებამ დადებითი შედეგები გამოიღო. ჩვენ მდიდარი ფაქტიური მასალა მივიღეთ. დაისახა მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები ამიერ-კავკასიაში ქიმიურ-მეტალურგიულ საკითხებზე სამუშაოდ; დამყარდა კავშირი მეცნიერებათა აკადემიის და ამიერ-კავკასიის ქიმიურ დაწესებულებათა მუშაკებს შორის, მოხდა სამუშაოთა შინაარსის ურთიერთი გაცნობა, და მათი კოორდინაცია. ამ ცხოველმყოფელმა ერთიანობამ საქართველოს მომჯადოებელმა ბუნებამ, მის ბუნებრივ სიმდიდრეთა შესწავლამ ყველა ჩვენგანში გამოიწვიეს ახალი ენტუზიაზმი. რომელიც მძლავრი სტიმული იქნება იმ სამეცნიერო და სამრეწველო პერსპექტივების ფართოდ გაშლისათვის, რომლებიც ამ მშვენიერი ქვეყნის წინაშე ისახება.

---

*) როგორც „კომუნისტი“-ს რედაქციას აცნობეს ტფ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის დირექციამ ინსტიტუტთან მეტალურგიული ფაკულტეტის აღდგენის შესახებ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში დასვა საკითხი, საქართველოს და ა.-კავკასიის სათანადო ორგანოების წინაშე. ამჟამად საქმე [illegible] ა.-კ. ადგილობრივი მრეწველობის კომისარიატს და საბჭ. კავშირის მძიმე მრეწველობის კომისარიატის უმაღლეს სასწავლებლების მთავარ სამმართველოს.

რედ.

## პარტიულ თემაზე

# საჭიროა პარტკაბინეტის დაჩქარებით მოწყობა

(საქ. კ. პ. (ბ) სენაკის რაიკომის პ.-მგ. ინსტრუქტორის წერილი)

როდესაც სენაკის პარტიული კომიტეტი ცალკე პირველად პარტორგანიზაციებზე ამაგრებდა პასუხისმგებელ ამხანაგებს, მათ მეტად სერიოზული დავალება ქონდათ მიცემული: **გულდასმით შეემოწმებიათ თვითეული კომუნისტის ბრძოლა რევოლუციური თეორიის დაუფლებისათვის, თავისი იდეურ-პოლიტიკური მომზადების გაღრმავებისათვის.**

25 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე სწარმოებდა პარტგანათლების ქსელის მიერ ზაფხულში ჩატარებული მუშაობის გამოკვლევა და გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გასულ წელთან შედარებით სენაკის პარტორგანიზაციას აქვს მიღწევები მე-17 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და განსაკუთრებით ამხ. სტალინის ისტორიული მოხსენების შესწავლისათვის ბრძოლაში.

თუ ამ გამოკვლევის შედეგს მიმოხედვით ვიმსჯელებთ, ჩვენს წინაშე გადაიშლება შემდეგი სურათი: პარტგანათლების საზაფხულო მსმენელთა საერთო რაოდენობიდან (ე. ი. 891 კაციდან) ჩატარებული საუბრები „ფრიადზე" შეთვისებული აქვს 62,8 პროც. და „ცუდად" — 34,6 პროც. მეცადინეობას ჩამოშორდა სულ 22 მსმენელი, რაც უდრის —2,6 პროც.

1933-34 სამოსწავლო წელს რაიონში ჩამოყალიბებული იყო სულ 39 პოლიტსკოლა (საკანდიდატო — 11 და დაწყებითი —28), მოწყობილი იყო სემინარი რაიონული პარტაქტივისათვის, რომელზედაც მეცადინეობდა —64 კაცი და დაუსწრებელი პარტიული სწავლება —16 კაცის შემადგენლობით.

საჭიროა შევჩერდეთ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც ადგილი ქონდა საზაფხულო პარტიულ სწავლების დროს.

ეს ნაკლოვანებანი უპირველესად ყოვლისა მდგომარეობდა იმაში, რომ ცალკე სკოლების დაკომპლექტების დროს მხედველობაში არ ყოფილა მიღებული მსმენელთა თეორიული მომზადების დონე და მათი მოთხოვნილებანი, თავიდანვე არ მომხდარა პროპაგანდისტების სწორი შერჩევა, მეთოდიური მუშაობა ვერ იდგა თავისი მოწოდების სიმაღლეზე, თითქმის არ ჩანდა პროპსემინარის ხელმძღვანელობითი როლი პროპაგანდისტების მიმართ. არ იყო მოწყობილი პარტიული კაბინეტი და სხვ.

აღნიშნულ უარყოფით მოვლენებს რომ თავი დავანებოთ, თვით პროპაგანდისტები (ზოგიერთების გამოკლებით, რასაკვირველია) არ მუშაობდენ თავის თავზე პოლიტიკური ცოდნის გასაღრმავებლად. (არ კითხულობდენ ლიტერატურას, არ ადგენდენ კონსპექტებს დამუშავებულ მასალებზე, არ იმართებოდა მათ შორის საუბრები და სხვ.).

ყოველივე ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა პარტიულ სწავლების ხარისხზე.

ზაფხულის პერიოდში პარტგანათლების ქსელი აწარმოებდა რა ენერგიულ ბრძოლას მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის, მთავარი ყურადღება ქონდა მიქცეული თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირებას. ცალკე კომუნისტები, რომლებიც „კარგად" სწავლობდენ პოლიტსკოლებში, „კარგადვე" მუშაობდენ წარმოებებშიც. აი პარტიის წევრი ამხ. **მიხა კიზირია** — ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნის მუშა, პოლიტსკოლის მეცადინეობაზე არც ერთხელ არ დაკლებია. ჩატარებული საუბრები შეთვისებული აქვს დამაკმაყოფილებლად და წარმოებაში მუშაობს დამკვრელურად, გეგმებას სისტემატიურად შესრულებისათვის დაჯილდოებულია რამოდენიმეჯერ.

ამხ. **ი. ქაჯაია** კოლმეურნეობა „ოქტომბრის" წევრია. მეცადინეობას სისტემატიურად ესწრებოდა, საუბრები შეთვისებული აქვს დამაკმაყოფილებლად, კოლმეურნეობაში კი გამომუშავებული ქონდა (შემოწმების პერიოდში) 100 შრომადღე იმ დროს, როდესაც საშუალო გამომუშავება უდრის 90 შრომადღეს.

მრავალია ასეთი მოწინავე ამხანაგი სენაკის პარტიულ ორგანიზაციაში, მაგრამ მის რიგებში მრავალია ისეთები, რომლებიც არც პოლიტსკოლებში სწავლობენ და არც წარმოებაში ასრულებენ ავანგარდულ როლს.

პარტიული ამხანაგი **მიხა ძიმისტარაშვილი**, იმავე ნოსირის აგურ-კრამიტის ქარხნიდან, 69 მეცადინეობიდან 15-ს დააკლდა. ჩატარებული საუბრები შეთვისებული აქვს „ცუდად", წარმოებაში არ ასრულებს **ავანგარდულ** როლს, აქვს საკმაო გაცდენები.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმაოა ნათქვამის დასამტკიცებლად.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივის თანახმად 10 სექტემბრიდან გაიშალა მოსამზადებელი მუშაობა შემოდგომა-ზამთრის პარტგანათლების ქსელის ორგანიზაციისთვის. ჩატარებულმა შემოწმებამ შესაძლებლობა მოგვცა ზუსტად გამოგვერკვია თვითეულ მსმენელის პოლიტიკური მომზადების დონე, რაც საფუძვლად დაედო შემოდგომა-ზამთრის პოლიტსკოლებში მსმენელთა დაკომპლექტებას. პირველად პარტორგანიზაციებთან გამოყოფილი იქნა სკოლების დაკომპლექტების კომისიები, რომლებსაც აგრეთვე დავალებული ქონდათ სკოლების უზრუნველყოფა ბინებით, გათბობა-განათებით, სამოსწავლო ნივთებით და სხვ. დაკომპლექტების დროს გატარებულ იქნა დიფერენცირებული მიდგომა მსმენელებისადმი.

პროპაგანდისტთა სწორი შერჩევისათვის რაიონულ კომიტეტთან შექმნილი იყო საკვალიფიკაციო კომისია, რომელიც ამოწმებდა თვითეული პროპაგანდისტის ვარგისიანობას საპროპაგანდო სამუშაოსათვის და ანაწილებდა მათ პარტგანათლების ქსელის ცალკე სკოლებს შორის. უკვე შემოწმებულია და განაწილებულია სკოლებს შორის 38 პროპაგანდისტი.

**საშემოდგომო - საზამთრო** პარტიული სწავლებისათვის სულ მოეწყო პარტსწავლების 495 ერთეული, რომელშიაც ჩაბმულია 925 მსმენელი (აქედან პარტიის წევრი —445, კანდიდატი—178, კომკავშირელი — 35, თანამგრძნობი — 80 და უპარტიო—187 ანუ კომუნისტების შემადგენლობის —30 პროცენტი).

მოწყობილია სემინარი, სადაც მეცადინეობს 48 კაცი, დაუსწრებელი სწავლება —20 კაცის შემადგენლობით, დაუსწრებლად (რადიოთი) —30 კაცი.

**დღემდე სენაკის პარტიულ კომიტეტს არა აქვს პარტიული კაბინეტი, რომლის უქონლობა დიდად აფერხებს პარტიულ სწავლების ბოლშევიკურად წარმართვის ბრძოლას.**

ამ საკითხს მიექცევა **სერიოზული ყურადღება.** პარტიული კაბინეტის მოწყობით მოგვეცემა შესაძლებლობა უმაღლეს საფეხურზე ავიყვანოთ ბრძოლა რევოლუციონური თეორიის ბოლშევიკურად დაუფლებისათვის.

**ქ. ბალათურია**

## პურის შესყიდვა.

# პურის საწყობი არ არის მზად

(სიღნაღი).

სიღნაღის რაიონის წითელი წყაროს, ჯაფარიძის, ზემოქედის, ქვემოქედის და ძრხილოს კალის სოფლებში პურის თავისუფალი შესყიდვა 18 სექტემბერს დაიწყო. 1 ოქტომბრისათვის კოოპერატივს უკვე 25.000 ფუთი ხორბალი ჰქონდა შესყიდული.

კოლმეურნეები ფართოდ გამოეხმაურნენ ხორბლეულის შესყიდვას, კოლმეურნე **ზ. ხუცურაულმა** კოოპერატივს მიჰყიდა 42 ფუთი პური, **ი. მახაურმა** — 60 ფუთი, **ხ. ქისტაურმა** — 41 ფ., **ვ. ქავთარაძემ** — 45 ფ., **ხ. უნთიძემ** — 30 ფ., **მარო ქავთარაძემ** — 35 ფ., **ხ. ჩოხელმა** — 25 ფ. პურის საფასურით კოლმეურნეებმა შეიძინეს **პატეფონი, ველოსიპედი, ჭურჭლეული** და სხვა საოჯახო ნივთები.

უნდა აღინიშნოს, რომ პურის შესყიდვას ყველა სოფლის კოოპერატივი ვერ შეხვდა მომზადებული. მაგალითად, **ზემო და ქვემო-ქედის** სოფლის კოოპერატივს წინასწარ **არ ჰქონდა მომზადებული პურის საწყობი,** კოოპერატივი პურის გამყიდველებს სათანადო საქონლით ვერ ამარაგებს. სიღნაღის რაიკოოპკავშირმა უნდა მიიღოს სასწრაფო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**პ. ჩინჩალაძე**

# ბაშკიჩეთის და ლაგოდეხის რაიონის სასოფლო კოოპერატივები მოუმზადებელი შეხვდენ პურის შესყიდვას

პურის შესყიდვა საქართველოში ძირითადად დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. **სამომხმარებლო** კოოპერაციამ თავიდანვე ენერგიულად მოკიდა ხელი ამ საქმეს. სასოფლო კოოპერატივების მეტ ნაწილს უკვე მიტანილი აქვს თავის საცავებში პურის შესყიდვის დასასაქონებლად გამოყოფილი სამრეწველო და სასურსათო საქონელი და შეუფერხებლად აკმაყოფილებს კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეთა მოთხოვნილებებს სამრეწველო საქონელზე.

გამონაკლისს შეადგენენ **ბაშკიჩეთის** და **ლაგოდეხის** რაიონების სასოფლო კოოპერატივები. **არ მიიღეს ზომები მათთვის გამოყოფილი საქონლის დროზე გადასატანად, არ მოამზადეს ამ საქმისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებები** (კოლმეურნეობების ურმები, ფურგონები და სხვ.) **და გულხელდაკრეფილი ელოდენ როდის მოუტანდა საქონელს ცეკავშირი ან სარაიონთაშორისო ბაზისი.**

ამის შედეგია ის გარემოება, რომ ხსენებულ რაიონებში პურის შესყიდვა შედარებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს და ამ რაიონების კოლმეურნეები და მშრომელი ერთპიროვნული გლეხები იძულებული არიან მათთვის საჭირო სამრეწველო და სხვა საქონელი დაშორებულ ბაზრებში შეიძინონ.

არა დამაკმაყოფილებლად მუშაობს აგრეთვე **„ზაგოტზერნოს"** ზოგიერთი დამამზადებელი პუნქტი. სიღნაღის რაიონის ზაგოტზერნოს პუნქტებს პურის შესყიდვა 1 ოქტომბრისათვის კიდევ არ ჰქონდათ დაწყებული.

# სამრეწველო საქონელი პურის შესყიდვისათვის

ცეკავშირის **ტფილისის ბაზა** პურის შესყიდვის დასასაქონებლად საქონლის განაწილებას 15 სექტემბერს შეუდგა. 25 სექტემბრამდე რაიონებს გადაუგზავნა 72.719 მანეთის **ბამბეული, ფანჯრის მინები** და **ლურსმანი.**

რკინა-კავეულის და სამეურნეო საქონლის ცენტრალურმა საწყობებმა ამავე პერიოდში რაიონებს გადაუგზავნეს 982.571 მან. **მინები, ლურსმანი, ემალის ჭურჭელი, თუნუქი.** კულტბაზამ — 120 ველოსიპედი, 117 პატეფონი, 1500 ფირფიტა.

საწყობების და ბაზის მუშაკებს შეგნებული აქვთ პურის შესყიდვის უდიდესი მნიშვნელობა, ენერგიულ ზომებს ღებულობენ, რომ რაიონებს დაუგვიანებლივ მიაწოდონ მათთვის გამოყოფილი საქონელი.

**ა. გეგეჭკორი.**

ბოსტნეული მუშებს ზამთრისთვის

# საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

### 1934 წელს ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებისათვის დაწესებული ერთდროული გადასახადის საქართველოს ს.ს.რ. ტერიტორიაზე [illegible]

„1934 წელს ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობებისათვის ერთდროული გადასახადის დაწესების შესახებ" გამოცემული ს.ს.რ.კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. სექტემბრის 26-ის დადგენილებისა და ამ დადგენილების განსავითარებლად გამოცემული ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. ოქტომბრის 1-ის დადგენილების შესაბამისად— საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ერთდროული გადასახადით იბეგრება ყველა ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობა, რომელიც 1934 წ. დაბეგრილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადით როგორც სოფლად, ისე ქალაქებსა, დაბებსა და ქალაქის დასახლებულ ადგილებში, სადაც 1934 წელს იხდევინება სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, ზემო-სვანეთისა, ქვემო-სვანეთისა, ხევსურეთისა და თიანეთის რაიონის სოფლების ხაშალისა და ბაჩალის ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების გამოკლებით.

2. ერთდროული გადასახადის განაკვეთები დაწესდეს შემდეგი რაოდენობით:

| ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რაიონების სახელწოდება | 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მტკიცე განაკვეთებით დაბეგრილი ერთპიროვნული მეურნეობანი | | | 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პროგრესიული განაკვეთებით დაბეგრილი ერთპიროვნული მეურნეობანი | |
|---|---|---|---|---|---|
| | მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ მუშა-საქონ. და არა აქვთ საბაზრო შემოსავალი | მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ მუშა საქ., ხოლო აქვთ საბაზრო შემოსავალი | მეურნეობანი, რომელთაც ჰყავთ საქონელი | მეურნეობანი, რომელთაც არა ჰყავთ მუშა - საქონელი და არა აქვთ საბაზრო შემოსავალი | მეურნეობანი, რომელთაც ჰყავთ მუშა-საქონელი ან აქვთ საბაზრო შემოსავალი |
| 1. აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი | 15—25 მ. | 35—50 მ. | 60—80 მ. | 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო განაკვეთის 100-%-დე, არა ნაკლებ ერთდროული გადასახადის განაკვეთისა, რაც დადგენილია სათანადო მეურნეობებისათვის, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს მტკიცე განაკვეთით იხდიან | 1934 წ. სასოფლო - სამეურნეო გადასახ. განაკვეთის 100-140%, ხოლო არა ნაკლებ ერთდროული გადასახადის განაკვეთისა, რაც დადგენილია სათანადო მეურნეობებისათვის, რომელნიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადს მტკიცე განაკვეთებით იხდიან |
| 2. ბორჩალოს, წალკის, თიანეთის, ყაზბეგის, დუშეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ჭიათურის, ტყიბულის, ჩხარის, წალენჯიხის, ხოპაგოული ?, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ფოთის რაიონები. | 15 მან. | 35 მან. | 60 მან. | 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 20%, ხოლო არა ნაკლებ 15 მანეთისა. | 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო განაკვეთის 100%, ხოლო არა ნაკლებ:<br>1) 35 მან. იმ მეურნეობისათვის რომელთაც აქვთ საბაზრო შემოსავალი, ხოლო არა ჰყავ მუშა-საქონელი;<br>2) 60 მან.—იმ მეურნეობისათვის რომელსაც ჰყავს მუშა-საქონელი. |
| 3. ყარაიას, ბაშკიჩეთის, საგარეჯოს, ალბულახის, თელავის, ლაგოდეხის, გორის, ბორჯომის, კასპის, სტალინისის, ქუთაისის, ზესტაფონის, სამტრედიის, ამბროლაურის, ვანის, ონის, ხონის, სენაკის, მარტვილის, აბაშის, ჩოხატაურის, ხობის | 20 მან. | 40 მან. | 70 მან. | 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 90%, ხოლო არა ნაკლებ 20 მანეთისა | 1934 წ. სასოფლო - სამეურნეო გადასახადის განაკვეთას 120%, ხოლო არა ნაკლებ<br>1) 40 მან.—იმ მეურნეობისათვის, რომელსაც აქვს საბაზრო შემოსავალი, ხოლო არა ჰყავ მუშა-საქონელი.<br>2) 70 მან.—იმ მეურნეობისათვის, რომელსაც ჰყავს მუშა-საქონელი. |
| 4. ტფილისის, ლუქსემბურგის, სიღნაღის, გურჯაანის, ყვარელის, ბაღდადის, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის | 25 მან. | 50 მან. | 80 მან. | 1934 წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 100%, ხოლო არა ნაკლებ 25 მანეთისა | 1934 წ. სასოფლო - სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 140%, ხოლო არა ნაკლებ.<br>1) 50 მან.—იმ მეურნეობისათვის, რომელსაც აქვს შემოსავალი, ხოლო არა ჰყავს მუშა-საქონელი.<br>2) 80 მან.—იმ მეურნეობისათვის, რომელსაც ჰყავს მუშა-საქონელი. |

შენიშვნა: ის მეურნეობანი, რომელთაც ჰყავთ, მუშა-ცხენი და სასოფლო-სამეურნეო ან ზიდვის სამუშაოებზე იყენებენ, ერთდროულ გადასახადს იხდიან არა ნაკლებ 75 მანეთისა მეურნეობაზე.

1) 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი ერთპიროვნული მეურნეობანი იხდიან ერთდროულ გადასახადს შემდეგი რაოდენობით.

2) კულაკური მეურნეობანი იხდიან ერთდროულ გადასახადს 1934 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200 პროცენტის რაოდენობით.

3) ის მეურნეობანი, რომელნიც ბოროტად არ ასრულებენ მათთვის მიცემულ გეგმებს სახელმწიფოსათვის თესვისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებისას, დაიბეგრებიან ერთდროული გადასახადით საერთო საფუძვლებზე, ხოლო მათთვის ამ გადასახადის თანხა გადიდებულ უნდა იქნეს ერთი-ორად.

3. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ისა, აჭარისტანის ასსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განსაზღვრონ და გამოაქვეყნონ სამი დღის ვადაზე 1934 წლის ერთდროული გადასახადის საბოლოო განაკვეთები ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის რაიონობით და სოფლებით ამ გადასახადის განაკვეთების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილების მე-2 მუხლით.

4. ერთდროული გადასახადის გადახდისათვის დაწესებულ იქნეს შემდეგი ვადები:

ა) ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის:

1-ლი ვადა—1934 წ. ნოემბრის 5, ერთდროული გადასახადის განაკვეთის 50 პროცენტი, მე-2 ვადა—1934 წ. დეკემბრის 5, ერთდროული გადასახადის განაკვეთის 50 პროცენტი;

ბ) კულაკური მეურნეობებისათვის — 1934 წ. ნოემბრის 5, ერთდროული გადასახადის 100 პროცენტი.

5. უკეთუ გადასახადი გადახდილ არ იქნა დაწესებულ ვადაზე, სასოფლო საბჭო მოვალეა შეუფარდოს არაგადამხდელს, იძულებითი გადახდევინების ღონისძიებანი გადასახადების ნარჩენთა გადახდევინების კანონის სრული შესაბამისობით.

6. ერთდროული გადასახადისაგან განთავისუფლდებიან:

ა) იმ მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობანი, რომელნიც აწარმოებენ მეურნეობას საკარმიდამო მიწაზე, და რომელთაც ჰყავთ ერთი ძროხა და წვრილფეხა საქონელი და აქვთ სათიბები, ხოლო არა აქვთ სამინდვრო მიწა და არა ჰყავთ მუშა-საქონელი, უკეთუ სამუშაო ხელფასი ძირითადი წყაროა მათი შემოსავლისა;

ბ) კოლმეურნეთა მეურნეობანი;

გ) მცირეძალოვნების გამო 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული ერთპიროვნული მეურნეობანი;

დ) მეურნეობანი, რომელთა შემადგენლობაშიაც შედიან:

1) საბჭოთა კავშირის გმირები, სსრ-ის ორდენებით ან საპატიო რევოლუციური იარაღით დაჯილდოებული პირნი და შრომის გმირები;

2) ვადიანი (შეუწყვეტელი) ან ზევადიანი სამსახურის საკადრო შერიგეთა და უმცროს თავმდგომთა შემადგენლობის სამხედრო მსახურნი, 1934 წლის შემოდგომაზე გაწვეულთა გამოუკლებლივ;

3) მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საკადრო და რეზერვში მყოფი საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთ შედგენილობის სამხედრო მსახურნი;

4) უმცროს საკომანდო შემადგენლობის სამხედრო მსახურნი, რომელნიც გრძელვადიანი შვებულებიდან გადარიცხულ არიან ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში;

5. მუშათა და გლეხთა წითელი არმიის გრძელვადიან შვებულებაში, სათადარიგოდ ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში მყოფი საშუალო, უფროს და უმაღლეს თავმდგომთა შემადგენლობის პირნი, რომელნიც „თავდაცვა-ავიაქიმის" ორგანიზაციების საშტატო მომუშავეების სახით ანხორციელებენ მშრომელთა სამხედრო მომზადებას.

6) ყოფილი წითელგვარდიელნი და წითელი პარტიზანები.

7) განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოთა და ნაგებობათა გამხედროებული დაცვისა და გამხედროებული სახანძრო დაცვის სამწყობრო და საადმინისტრაციო - სამეურნეო შემადგენლობის პირნი, მუშათა და გლეხთა მილიციის ოპერატიულ-სამწყობრო და საადმინისტრაციო - სამეურნეო შემადგენლობის პირნი და აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებათა ოპერატიული და საადმინისტრაციო-სამეურნეო შემადგენლობის პირნი.

8) ომისა და შრომის ინვალიდები, რომელნიც მიკუთვნებულ არიან ინვალიდობის პირველ, მეორე და მესამე ჯგუფისთვის.

ე) კულაკური შურისძიებისაგან დაზარალებულ სოფლელ აქტივისტთა ოჯახების მეურნეობანი და სამსახურებრივი მოვალეობის ასრულების დროს მოკლულ სატყეო მომუშავეთა ოჯახების მეურნეობანი.

ვ) იმ პირთა ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელთაც თავიანთი თავი დაკონტრაქტეს ან მიამაგრეს სამთო მრეწველობაში მიწის ქვეშ მუშაობისათვის ერთ წელიწადზე არა ნაკლები ვადით, იმ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი, რომელნიც 1934 წელს გადავიდენ საბჭოთა მეურნეობებში მუდმივ სამუშაოზე შრომის ხელშეკრულებით ვადით არა ნაკლებ სასოფლო - სამეურნეო სეზონისა; გადასახლებულთა მეურნეობანი, რომელნიც განთავისუფლებულ არიან 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

ზ) სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებული და ამის გამო 1934 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებული ერთპიროვნული მეურნეობანი.

7. უფლება მიეცეს სასოფლო საბჭოებს —გაანთავისუფლონ ხოლმე ერთდროული გადასახადისაგან მთლად ან ნაწილობრივ ცალკეული მცირეძალოვანი ერთპიროვნული მეურნეობანი მცირეძალოვნების გამო. გადასახადისაგან მთლად ან ნაწილობრივ გასანთავისუფლებელ მეურნეობათა სიები სასოფლო საბჭოებმა უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს.

8. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს მთლად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს ერთდროული გადასახადისაგან ის ერთპიროვნული მეურნეობანი, რომელთაც მუყაითად (სრულად და ვადაზე) შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე ფულადი გადასახდელისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების სფეროში.

9. შემოსული ერთდროული გადასახადი მიიქცევა: 75 პროცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში, 10 პროცენტი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში და 15 პროცენტი სარაიონო ბიუჯეტებში.

10. ინსტრუქციის გამოცემა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**
**ბ. ჟურულიშვილი.**

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე**
**გ. თათეიშვილი.**

1934 წ. ოქტომბრის 5.
ტფილისი.

**ლეო ქიაჩელი**

△ △ △ △

# ყორათი

**იშვიათად** თუ ვინმე გაუგონია ეს სახელი, ალბათ, მკითხველების სამ მეოთხედზე უფრო მეტს ეუცხოვება იგი. ეს ბუნებრივია. ყორათი ღელის სახელია, სრულიად უცნობისა და უმნიშვნელოსი. რუკებზედაც არ არის აღნიშნული.

ასე ერქვა ქალადიდსა და ხორგას შუა ჭაობში გამდგარ ერთერთ ღელეს. ასეთი ღელეები იქ უთვალავია. ვინ მოსთვლის რამდენი ღელეა ქვეყანაზე. ყველას საკუთარი სახელი აქვს. ზოგის სახელი ადგილობრივმა მცხოვრებთაგანმაც კი ყველამ არ იცის. ყორათიც ასეთია, მაგრამ უფრო სწორი იქნება რომ ვთქვათ: ყორათიც ასეთი იყო, იმიტომ რომ დღეს ყორათი სულ სხვა რამეა, ვინემ გუშინ იყო. — დღეს ყორათის სახელი უკავშირდება საბჭოთა სინამდვილის ყველაზე უფრო საოცარ ამბავს საქართველოში—**ახალი კოლხიდის მშენებლობას.**

და თუ დღეს ყორათი ჯერ კიდევ ათასში ერთს გაუგონია, ხვალ ამ სახელის გასახმაურებლად ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია როდი იკმარებს.

მოვლენათა განვითარება რევოლუციური გზით მიმდინარეობს. ფეხადგმული მოვლენის ჩვეულებრივ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს საოცარი, თითქმის მოულოდნელი და დაუჯერებელი ნახტომი ერთი მდგომარეობიდან სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაში. ამას ჰქვია განვითარების დიალექტიკა. როცა განვითარების პროცესში ადამიანის ხელიც გაერევა, სასწაულიც შეიძლება დატრიალდეს.

ყორათიც ასეთი სასწაულთაგანია.

ჯერ კიდევ შარშან ყორათი შავი, უსახო და საზიზღარი ღელე იყო. მისგან დაჭაობებულ მიდამოსაც ყორათს უწოდებდნენ. მე ისე მახსოვს, რომ ამ სახელის ხსენება წყევაკრულევას უთანაბრდებოდა სამეგრელოში. უხსენებელი რამ იყო. როგორც ღელეს ისე მის მიდამოსაც ათეული ვერსის მანძილზე შიშით გვერდს უვლიდენ. ყორათს ახლოს ვერავინ ვერ გაეკარებოდა, სიმყარე არ ჰქონდა იქ მიწას და მთელი არე სრულიად საფლობს წარმოადგენდა, გარეული ტახებიც შორს გაურბოდენ ყორათს, ფრინველთაგანი ყანჩა თუ გაიწირებდა სადმე დროგამოშვებით. —ნისლგამდგარი ტყე, ეკლნარი და ლაქაში ბურავდა ყორათს.

თვითონ ღელეს სათავე არ უჩნდა დაბოლო. არავინ იცოდა, სად იწყებოდა ან სად თავდებოდა. არც დინება ჰქონდა და არც გარკვეული კალაპოტი: ზოგან გუბედ იდგა, ზოგან ლაფად და ღორღლად. ზოგან სულაც კი წყდებოდა და თხიერი მიწის ქვეშიდან შემზარავი ბუყბუყოვანი ბუშტების სახით გამოეჟონავდა. ამ შესაზარ ბუშტებს ადამიანის თვალი ვერც კი გაარჩევდა მოყიყინე ბაყაყების გამობერილი ლაყუჩებისაგან, რადგანაც ხშირად ისინი ერთნაირ ხმასაც კი გამოსცემდენ.

დიახ, ყორათი გუშინ კოლხიდის ჭაობის გული იყო, სრულიად უდაბური, უკაცური და დაწყევლილი.

★

დღეს კი ყორათი რეზიდენციაა კოლხიდმშენის მთავარი ინჟინერის ამხ. **გ. გეგეჭკორის** და მისი თანამშრომელი ტექნიკური პერსონალის. იგი დღეს კოლხიდის მშენებლობის ცენტრია, ლარივით სწორი გზატკეცილით შუაში გაჭრილი, დიდი და პატარა არხების სისტემით დასერილი, ელექტრონის სინათლით გაჩირაღდნებული, გიგანტური მანქანების ჭენებითა და აფეთქებული ლაღუმებით ახმაურებული.

**ღელე ყორათი უკვე აღარ არსებობს.** სახელი დარჩა მხოლოდ. ღელე ჩანთქა დიდმა არხმა, რომელსაც ორმოცი კილომეტრი სიგრძე აქვს და რომელიც ერთი თავით შავ ზღვას ებჯინება. იქ სადაც საფლობი იყო, რომელსაც ხორგელები და ქალადიდლები ათეული ვერსის მანძილზე გვერდს უვლიდენ, ახლა საწყობებია ჩარაზმული, მუშების, ორსართულიანი ბინები გაშენებული. იქვეა გამართული ამბულატორია, კოოპერატივი, სახელოსნოები, მანქანების სადგომები, კვლევითი საცდელი მინდორი ლაბორატორიით და სხვ.

ვისაც გუშინდელი ყორათის წარმოდგენა აქვს და შეუძლია იგი დღევანდელს შეადაროს, უთუოდ დამეთანხმება, რომ ყორათი, ეს უცნობი და ყოვლად უმნიშვნელო ღელე, დღეს ისეთ დიდ მოვლენად არის გადაქცეული, რომელზედაც უთუოდ იქნის ლაპარაკი გაზეთის ფურცელზე. დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ახალი ადამიანის ხელს, მშენებლობის პათოსს და თანამედროვე ტექნიკას სხვაგან საქართველოში იშვიათად მოელინებია ასეთი სასწაული გარდაქმნისა, ბუნებრივ დაბრკოლებათა გადალახვისა და მოვლენის ძირიანად შეცვლისა.

მაგრამ ინჟ. გ. გეგეჭკორი ამით როდი კმაყოფილდება. იმისთვის აწინდელი მდგომარეობა ყორათისა ერთი პატარა საფეხურია ახალი, მართლა დიდი და საოცარი ყორათის შესაქმნელად.

— დღეს ასეთია ყორათი,—მეუბნება იგი,—ხვალ კიდევ სხვანაირი უნდა გახდეს. ხვალ ის იქნება ციტრუსოვან სუბტროპიკების ვეება ბაღი-ქალაქი, რომელიც ზღვის პირიდან დაწყებული ათეული ათასი ჰექტარის შემცველ ფართობზე გადაიჭიმება. მთელ ამ მანძილზე არ დარჩება არცერთი მტკაველი მიწა, რომელიც ათვისებული და გამოყენებული არ იქნება იმ მაღალ და ძვირფას კულტურებისათვის, ოქროს კაკლების მოსხმა რომ სჩვევიათ ხოლმე. ჩვენი განახლებული, ძველთა ძველი კოლხიდა რა კოლხიდა იქნება, თუ ის იმავე ადგილს არ დაიჭერს ახალ მსოფლიოში, როგორიც ძველ კოლხიდას ეჭირა ძველ მსოფლიოში!

გ. გეგეჭკორმა ეს მითხრა ხელების ისეთი ენერგიული გაშლით, რომ მე ეჭვის ნატამალიც კი არ დამბადებია, რომ ეს ასე არ იქნება.

საინტერესოა ამ ინჟინერის ფიგურა ყორათში.—მაღალი, ოდნავ მოხრილი, მეგრული მოკლე ნაბადი აქვს მოსხმული, სოფ. ჯვარში რომ ამზადებენ. მაღალყელიანი მძიმე ჩექმები აცვია—რუსული ლაფჩინები. თავს ამერიკული კეპი ხურავს შეხუნებული. ჩემს გვერდით ოჩოკოჩივით მოალაჯებს მის მიერ გაკეთებულ ყორათის გზატკეცილზე. მაღალი, თითქოს ანთებული ხმით რონინობს. გრძელ ხელებს რომ გაშლის ჰორიზონტისაკენ, გეჩვენება შორეული ქვეყნების თავისთან მოზიდვა უნდაო. მოწითალო ფერად ლია-მწვანე თვალებში რწმენისა და გამარჯვების შუქი უკრთის, ფანატიკური სულის განწყობილებას რომ ამჟღავნებს ადამიანში.

— მიჰქარეს ძველებმა, თითქოს აქედან ბერძენ არგონავტებს ოქროს ვერძი გაეტაცნოთ. ოქროს ვერძი აქვე იმყოფება ხელუხლებელი და მე მისი მაძიებელი ვარ დღეს. ტყეთ გაჭრილ ტარიელად მომაქვს თავი. სატრფოსთვის ხელი რომ იყო და ცრემლშეუშრობელი. ყორათში მივაგენ ჩვენი ქვეყნის განძის კვალს. რა დღეს, რა ხვალ ხელში უნდა ჩავიგდო. გვერდში ავთანდილები მიდგანან და ფრიდონები, უკვე შევლეწეთ კარები ქაჯეთის ციხის და სრულ გამარჯვებამდე ერთი ნაბიჯი და გვიკლია.

მაგრამ ინჟ. გეგეჭკორი ბუნებით სულაც არ არის რიტორიკოსი. ეს ფერადად გამოთქმული, მაღალფარდოვანი გრძნობა, ალბათ, გულს მოწოლოდა და ჩემთან თავიდან მოსაცილებლად წარმოთქვა პათეთიურად. მაგრამ მე სრულიად ბუნებრივად მივიჩნიე ეს პათოსი იმ ადამიანისაგან, რომელიც წელამდე ჭაობში ჩამდგარა, დღე მოსვენება არ აქვს, ღამე—ძილი და მტრის ბანაკში შეჭრილი ხმალამოღებული იბრძვის. მე ასე მაქვს წარმოდგენილი, რომ ის უთუოდ ლექსებსაც ხშირად ამბობს თავისთვის. შეიძლება ამირანის ხალხურ თქმულებას ხშირად იმეორებს. მე ვიცი, ყორათი მისი ბოდვაც არის, არა თუ უბრალო მიზანი, ბოდვა, ბავშობიდანვე ჩვეული. ყორათი სისხლთან აქვს შედუღებული, ხორცთან შეხორცებული, გეგეჭკორი ამ კუთხის შვილია და ბავშობაში ოქროს ვერძზე ჰყვარებია ოცნება, როცა ციების ორმოცგრადუსიანი სიცხე ცეცხლის ლურჯი ალივით შიგ გულღვიძლში შეენთებოდა ყოველ დღე, ან დღეგამოშვებით მაინც.

ჩვენმა საუბარმა რამდენიმე გზად მიმავალი ხორგელი კოლმეურნე გლეხის ყურადღებაც მიიქცია. შესდგენ, შემოგვიერთდენ. ხორგელები დიდი მოყვარულნი არიან არაჩვეულებრივი ამბების.

ერთ ხორგელს ვკითხე:

— სად არის, მეზობელო, ყორათი მეთქი?

ჭკვიანი ცისფერი თვალებით შემომხედა. მერე ცდით შემომაცქერდა, გარემოს შეთვალიერებით მიპასუხა:

— ძველი ყორათი ოცი ვერსით გვაშორებდა რკინის გზას. უნდა შემოგვევლო შორიდან. ახალმა კი, წინააღმდეგ. ოცი ვერსით დაგვაახლოვა რკინის გზას. აი, ახლა ასეთია ყორათი ადამიანი!, სამყოფლიც გახდა, ასე წარმოიდგინე.

— მერე, როგორ მოხდა ეს სასწაული? დათესილი მარილის ამოსვლა, მგონია, უფრო ადვილად წარმოსადგენია!

ხორგელმა ახლა ინჟ. გეგეჭკორს გადახედა. ჩაიცინა:

— ამათ მარილიც რომ დათესონ, უთუოდ ამოვა!

და ისეთი ეჭვგაურეველი რწმენა დამანახა თვალებში, რომ ძალაუნებურად გულში გავივლე: იქნება, ხორგელი გლეხი მართალია და შეიძლება, მარილიც ამოვიდეს, თუ ბოლშევიკებმა დაითესეს მეთქი...

... არა, თავით ფეხებამდე სკეპტიკოსიც კი რა გინდ სასწაულს არ იწამებს, ყორათის ამბავს თუ ჩაუკვირდა...

◆

# ჩვენს კურორტებზე

ზაფხულის პაპანაქებაში აუტკივარ თავს აიტკენთ და ათასგვარი საბუთით დატვირთული მიმართვით ჯანსახკომს. არა მარტო თქვენ, არამედ საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიან აქ, რადგან საქართველოში მათ დაუხვდებათ წალკოტში ჩაჯდარი **ბორჯომის ხეობა,** სახელგანთქმული თავისი მინერალური წყლებით, **აბასთუმანი** ნაძვების ტყით დაბურული, **წყალტუბო** დავრდომილთა გამკურნებელი და საქართველოს მაცესტა—**მენჯი.** აქ დაუხვდებათ აგარაკები მთის ისეთ მაღალ მწვერვალებზე, როგორიცაა **ბახმარო** და **ლებარდე.** ბუნებრივია, რომ აქეთკენ მოეშურებიან, რათა აღიდგინონ ჯანი და ღონე. ამის უფლება მათ აქვთ. ჯანსახკომიც არ ღალატობს ჩვენი ქვეყნის ადათს და მათ გულუხვად უმასპინძლდება.

წელს საქართველოს ყველა კურორტი გადატვირთული იყო. სხვისი გადატვირთვა ნაკლებად გაწუხებს. მიიღე საგზური და არხეინად გაემგზავრე აგარაკისკენ, მაგრამ ადგილზე მისვლის უმალ (ბორჯომის განმუშაკთა პანსიონატი) ადმინისტრაციას უწყებ „შინაურ" ბრძოლას.

როგორ? თქვენი აფეთქება არ მიეწერება ნერვების სისუსტეს, არც მგზავრობით დაღლას?! მაშ იმან ხომ არ აგაღელვა, რომ ლეიბი მატყლის ნაცვლად ბურბუშელით არის გატენილი და შიგ ბლომად ურევია ნაფოტები, რომლებიც გადაბრუნ-გადმობრუნების დროს გვერდში სადგისივით გერჭობიან?! არა უშავს რა. საკმაოდ ჩასუქებული ხარ, ბორჯომში „დასასუქებლად" ჩამოდი და ასეთი ლეიბი შენ ბევრს ვერაფერს „დაგაკლებს". იკითხოს იმან, ვისაც ნაფოტი ძვლებამდე ატანს!..

ღამით უძილობა დაგჩემდა, რადგან სასთუმლად თვით გატენილი ბალიში გიდევს და უმუთაქობის გამო თავჩაკიდული წევხარ. სხვებიც შენს დღეში არიან და ამით აიხსნება, რომ ამ ორიგინალურ ქვეშაგებში ისე გაუნძრევლად წევხართ, თითქოს საოპერაციოდ გამზადებულხართ.

მუთაქის თხოვნა-მოთხოვნამ ადმინისტრაციის მიმართ უშედეგოთ ჩაიარა. მოთმინებიდან გამოსულ ერთ ერთ დამსვენებელს (მასწავლებელ ალ. ჩიჩიას) მოაქვს მოგრძო მსხვილი ქვა და ბალიშის ქვეშ დებს, მას სხვებმაც მიბაძეს. ქვის მუთაქების „ამოჩენის" ამბავი გაიგო ადმინისტრაციამ (პანსიონატის დირექტორი კორნევი), გაიცა ფიცხელი განკარგულება, დაიხერხა მოკლე ჯირკები და ყველას დაურიგდა ხის მუთაქები.

სტუნდით, რადგან 116 მამაკაცს მხოლოდ 4 პირსაბანი გქონდათ, ადვილი წარმოსადგენია, რიგში დგომა რა „ცოტა ხნით" მოგიხდებოდათ. სასადილოში ადგილის შოვნა მისწრებაზეა, სიმარდე ვერ გამოიჩინე, სხვებმა მიგასწრეს, და თუ შენ ყველაზე ბოლოს ღებულობ სადილს, თავს დააბრალე, შენ რომ მოქნილობა გაკლდეს, სხვისი რა ბრალია?!

თუ ბედმა გაგიღიმა და ადგილი იშოვე, სადილს არა უშავს, ბლომად არის პურიც და ხორცეულიც. არც დილა საღამოს გაკლია ტკბილი ჩაი და კარაქი. მაგრამ თუ რძეს იშვიათად ღებულობდით, ეს იმიტომ, რომ 4.902 ლიტრის ნაცვლად მხოლოდ 2.026 ლიტრი შეიძინეს. რა ვუყუთ, თუ კვერცხს ზოგჯერ გირიგებდენ და ისიც ლაყეს!

ტყუილათ გწყდებათ გული აქ მოსვლაზე, რადგან სხვა კურორტზედაც ასეთივე მდგომარეობით დაგიხვდებოდენ. იმიტომ, რომ სახ. კურმომარაგებამ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საჭიროებისამებრ ვერ უზრუნველყო კურორტები.

გეგმის შესრულება ცენტრალიზებული პროდუქტებით, როგორიცაა: პური, შაქარი ხორცი, კარაქი — დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა, მაგრამ ჩამორჩენილობა ბოსტნეულით, რძით და კვერცხით მომარაგებაში. კურორტთა სამმართველო იძულებული შეიქნა ზოგიერთი კურორტისათვის (ბორჯომი, წყალტუბო) განკარგულება მიეცა დანაკლისი სურსათის შესყიდვა ეწარმოებიათ კერძო ბაზარზე. ამ ნაკლის გამოსწორება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საკურორტო დამხმარე მეურნეობის მოწყობის საშუალებით.

თქვენ მოელოდით, რომ დაგიხვდებოდათ სუფთა, ჩაქრიალებული ქვეშაგები, მაგრამ მოლოდინი არ გაგიმართლდათ, და თეთრეულის სიმცირეს აღნიშნავთ. ეს იმიტომ რომ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 250.000 მან. თეთრეულისა, მხოლოდ 96.000 მანეთის შეიძინეს.

ჩივით ბინის სივიწროვეს, რომ ერთ ოთახში ხუთის ნაცვლად 10 ვიყავით და ამიტომ ზოგიერთნი აივანზე იძინებდით. სხვა კურორტებზეც გადატვირთვა საკმაო იყო. წყალტუბოში ხომ სასტუმრო სანატორიუმად გადააკეთეს, მაგრამ ამანაც ვერ უშველა მოზღვავებულ ხალხს და მთხოვნელთა მხოლოდ 20 პროცენტი დაკმაყოფილდა, ეს მაშინ, როდესაც წყალტუბო დღეღამეში 22 საათს მუშაობს ახლა.

კურორტთა სამმართველოს ქონდა მტკიცე განზრახვა, რომ კურორტებზე არავითარ შემთხვევაში არ გაეგზავნა გეგმით გათვალისწინებულზე მეტი დამსვენებელი, მაგრამ მისი გეგმა თქვენმა მუდარამ დაარღვია და ნაცვლად 10.800 საწოლ დღისა, გაშვებული იქნა 11.132. ახლა კი მადლობის ნაცვლად მასვე ბრალს სდებთ, რომ კურორტზე ვიწროდ იყავით და ზოგჯერ გაკლდათ ესა და ეს.

**მერი ადამია**

## ხუმრობის გარეშე

# აქა ამბავი სამი ჭრელი ღორისა

ჩვეულებრივი სამი ჭრელი ღორი.

მათ შესახებ დაუსრულებელი დავა ატეხილი!

საქმე ოზურგეთის სასამართლოში დაიწყო. 1933 წლის იანვარში მოქ. კოლია ჯინჭარაძეს უჩივის პავლე გიორგაძე:

— ერთი ჭრელი ღორი მყავდა, ოთხი ჭრელი გოჭი დაყარა დედა ღორი და ერთი გოჭი ჭირმა მომიკლა, სამი გოჭი კი დამეკარგა, ვეძებე, ვნახე კოლია ჯინჭარაძის ეზოში და ჩემ სახლში გავირეკეო.

სასამართლო ჩაფიქრდა—ვის მიაკუთვნოს სამი ჭრელი ღორი?

მოწმეები უხვად მოიყვანა მომჩივანმაც და მოპასუხემაც.

იდავეს ამტკიცეს.

მოწმეთა ერთი წყება აცხადებდა:—მაგ ღორებს პირადად ვიცნობთ. ვადასტურებთ, რომ გიორგაძეს ეკუთვნიანო.

მოპირდაპირე მოწმეები ამბობდნენ: რა სისულელეა, ღორები ჩვენ თვალწინ დაიზარდნენ, ხშირად ჩვენი ყანებისთვისაც გაუკრავთ კბილი როგორ არ ვიცნობთ, კ. ჯინჭარაძის არიანო.

უკანასკნელთა ჩვენებამ სძლია. ოზურგეთის სასამართლომ ღორები კ. ჯინჭარაძეს მიაკუთვნა.

გიორგაძე აიმრიზა. სახალხო სასამართლოს დასკვნა გაასაჩივრა. უზენაეს სასამართლოს საკასაციო საკრებულომ გიორგაძის დავა უსაფუძვლოდ მიიჩნია და გადაწყვეტილება კ. ჯინჭარაძის სასარგებლოდ ძალაში დატოვა.

გიორგაძე უფრო გაცხარდა და სამართლის ძებნაში მუშგლეხინის კარს მიადგა.

დაიწყო ხელახალი გამოძიება. გიორგაძის მოწმეთა რიცხვმა იმატა მათი ჩვენება უფრო დამაჯერებელი გახდა, საქმე შეტრიალდა.

მუშგლეხინის დასკვნის მიხედვით პროკურორმა უზენაეს სასამართლოს პლენუმს პროტესტით მიმართა. გადაჭრით მოითხოვა, რომ სამი ჭრელი ღორი გიორგაძეს მიეკუთვნოს.

ოზურგეთის სახალხო სასამართლომ ხელახლად გაარჩია საქმე და სამი ჭრელი ღორი გიორგაძის საკუთრებად აღიარა.

ახლა ჯინჭარაძე აპილპილდა. შელახული უფლების აღსადგენად უზენაეს სასამართლოს საკრებულოს მიმართა.

აქაც რომ არ დაუჯერეს, საქმე უზენაეს სასამართლოს პლენუმში გადაიტანა. ასაბუთებდა, ამტკიცებდა, რომ მას უფრო მეტი მოწმეები ჰყავს, რომ სამი ჭრელი ღორი მისია, რომ მოპირდაპირემ ცრუ მოწმეების საშუალებით მართლმსაჯულება შეცდომაში შეიყვანა.

მას შემდეგ, რაც ეს დავა დაიწყო, საკმაო დრომ განვლო. მოპირდაპირეები სამართლისა და მოწმეების ძებნაში გზებზე იყვნენ, დაკრული ღორები კი თავისთვის ღრუტუნებდნენ სოფ. ვაკიჯვარში, ნავარდობდნენ და მრავლდებოდნენ. სამი ჭრელი ღორი უკვე თერთმეტად გადაიქცა და ისე მიყავთ საქმე, რომ რამოდენიმე თვეში ან კვირაში ერთი ორად და შეიძლება ერთი სამადაც გადაიქცეს.

უზენაეს სასამართლოს პლენუმმა გაითვალისწინა, რომ პურმარილის წყალობით მოწმეთა რიცხვი ერთ მხარესაც და მეორესაც შეუძლია დაუსრულებლად ზარდოს; რომ ამ გზით საკითხის გადაჭრა საიმედო არ არის. გაითვალისწინა ისიც, რომ დავის გამო საქმეს ცდება და ხარჯებში ვარდება ორივე მხარე, რომ სამი ჭრელი ღორის გამო უკვე საკმაო დრო გაატარა სასამართლოს ორგანოებმა და ყველა ამის გამო სამი ჭრელი ღორი გიორგაძეს მიაკუთვნა. ხოლო ნამატი ჯინჭარაძეს.

თუ აქამდე გამოტანილ დადგენილებებს ხან ერთი მხარე ასაჩივრებდა, ხან მეორე, ახლა ორივე ყელყზე შედგა და სამართლისათვის რესპუბლიკის უზენაეს ორგანოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიმართა.

დასკვნისათვის საქმე პროკურორს ასევე გადაეცა.

რიგით ეს მეცხრე დასკვნა იქნება სამი ჭრელი ღორის შესახებ, მეცხრე დასკვნა! საბოლოო თუ იქნება მაინც!

ნ. ტ—ძე.

# მზადება საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენისათვის

ნოემბერში საბჭოთა კავშირის მიწსახკომთან იხსნება მუდმივი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. რომელზედაც წარმოდგენილი იქნება სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და მიწსახკომის სამეურნეო ორგანიზაციების მიღწევები მეაბრეშუმეობის ინსტიტუტმა გაშალა სამზადისი გამოფენისათვის. ამიერ-კავკასიის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტი გამოფენაზე წარადგენს 500 ექსპონატს.



სურათზე: ექსპონატები გამოფენისათვის: პარკი და ამოხვეული აბრეშუმის ძაფი.

# ახალი სასწავლო წელი

## მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში

გასული წელი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა წარმატებით დაამთავრა და დაიწყო მზადება ახალი სასწავლო წლისათვის.

მიმდინარე წელს სამუშაო დრო უფრო რაციონალურად არის განაწილებული, დიდი ყურადღება ექცევა ასპირანტისა და მსმენელის დამოუკიდებელ მუშაობას.

უკვე მოწყობილია ეკონომიური კაბინეტი, მოკლე დროში დამთავრდება ისტორიული კაბინეტის მოწყობაც.

ბიბლიოთეკის მოწყობას ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დროულად მოჰკიდა ხელი, გაუკეთა კაპიტალური რემონტი ბიბლიოთეკის შენობას. მოამარაგა ის სასწავლო ნივთებით და მოწყობილობით, შეარჩია მომუშავეთა საუკეთესო კადრი.

დირექციამ დროზე გადადგა ნაბიჯი ინსტიტუტის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. ვადაზე დამთავრდა ინსტიტუტის აკადემიური შენობის კაპიტალური რემონტი, გაიხსნა დახურული სასადილო, მოეწყო აუდიტორიები, სამუშაო ოთახები; განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა საერთო საცხოვრებლის კაპიტალური შეკეთებისათვის. ახლა იქ ასპირანტებისა და მსმენელებისათვის საუკეთესო საცხოვრებელი ბინებია მოწყობილი.

ასეთი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ, 15 სექტემბერს ინსტიტუტი შეუდგა მეცადინეობას. უკვე დამთავრდა სასწავლო გეგმების ჯგუფებამდე დაყვანა, თვითეული ასპირანტი და მოსამზადებელი განყოფილების მსმენელი იცნობს სასწავლო გეგმას.

მაგრამ ამ ფაქტებიდან არ შეიძლება გამოვიყვანოთ დასკვნა, თითქოს სამუშაო ამოიწურა; სრულიადაც არა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ დიდი მუშაობა უნდა ჩაატაროს მიღებული გეგმების რეალიზაციისათვის. საჭიროა ასპირანტების და მსმენელების უზრუნველყოფა სასწავლო პროგრამებით ყველა დისციპლინაში. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს სპეციალიზაციის გატარების საკითხი.

ინსტიტუტთან არსებულ სექციების გაუქმებასთან დაკავშირებით საჭიროა კათედრების (ისტორიული, ფილოსოფიური, ეკონომიური) მუშაობის გარდაქმნა. კათედრა სისტემატიურად უნდა აწყობდეს მეცნიერულ ხასიათის მოხსენებებს. ასპირანტების პედპრაქტიკის საქმე კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს. საჭიროა ასპირანტების ნაწილის მივლინება საბჭოთა კავშირის სხვა ინსტიტუტებში პედპრაქტიკის გასავლელად.

გ. ჯინჭველაშვილი.

ნახატი მხატვ. დ. ქუთათელაძის



რიონჰესი

# ამერიკელი სპეციალისტი ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა სპეციალისტი ინჟინერი ფიზიკის დოქტორი ვ. ზვორიკინი, ამერიკული საზოგადოების „რადიოკორპორეიშენის" საკვლევო ლაბორატორიის დირექტორი.

ის მოწვეულია საბჭოთა კავშირში მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ რადიომუშაობის ახალი მიღწევების გადმოსანერგავად საბჭოთა კავშირში. კერძოდ დოქტორი ვ. ზვორკინი ჩვენს ინჟინერებს გააცნობს შორს მანძილზე ხედვის განვითარებას შეერთებულ შტატებში, რაშიაც მას საკუთარი სისტემა აქვს

ამერიკელი ინჟინერი, ფიზიკის დოქტორი ზვორიკინი

#

გამომუშავებული. ამ სისტემას ეწოდება „ზვორკინის იკონოსკოპი".

4 ოქტომბერს ვ. ზვორკინმა პროფსაბჭოს დარბაზში გააკეთა მოხსენება თავისი იკონოსკოპის შესახებ. მოხსენებას დაესწრენ ადგილობრივი რადიომუშაკები.

დღეს ვ. ზვორკინი მიემგზავრება დნეპროსტროიში.

# ფიზკულტურა და სპორტი

## სამ[illegible] [illegible]ჯიბრება მ[illegible] დღე

სამი ქალაქის შეჯიბრება, რომელიც ტფილისში ერთერთ საუკეთესო, მსოფლიო სპარტაკიადის სახელობის ჩოგბურთის სტადიონზე მიმდინარეობს, დასასრულს უახლოვდება.

ბრძოლა პირველობისათვის მხოლოდ ლენინგრადსა და მოსკოვს შორის წარმოებს. ტფილისმა უკვე მეორე შეხვედრა წააგო და იგი ველარ დაეწევა წინ წასულ სტუმრებს.

საკითხი, თუ ვინ გაიმარჯვებს, ჯერჯერობით გამოურკვეველია ის გარემოება, რომ კუდრიავცევი (ლენინგრადი) მონაწილეობას არ იღებს ლენინგრადელ შესუსტებულ გუნდისთვის აძნელებს პირველობის აღებას, მით უმეტეს, რომ სუსტია მეოთხე ადგილი და ვაჟთა მეორე წყვილი

ამ დღეს ყველაზე საინტერესო ქალთა შეხვედრები გამოდგა.

თამაშობენ კავშირის ძლიერეს ქალთა წყვილი ტეპლიაკოვა, სურნაჩევა და მათი მთავარი მოქიშპეები ლენინგრადელი კლაჩკოვა-ტისი. ამ შეხვედრას მოსკოვლებისათვის გამარჯვება უნდა მოეტანა. რაშიც ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ საქმით სულ სხვა მოხდა. ლენინგრადელებმა იშვიათი სიძლიერით დაიწყეს თამაში და კლაჩკოვას აქტიური თამაშის შედეგად პირველ ხელს იგებენ 7:5 ანგარიშით მეორე ხელში ბრძოლა მწვავდება. განსაკუთრებით ცდილობს კავშირის ფალავინი ტეპლიაკოვა მთელი რიგი ლამაზი კომბინაციებით მას გააქვს რამოდენიმე ბურთი. მაგრამ ეს მას არ შველის. ლენინგრადელები უფრო შეთანხმებულად თამაშობენ. სუსტად თამაშობს დღეს მოსკოველი ქალი სურნაჩევა, რაც ლენინგრადელებმა სათანადოდ გაითვალისწინეს და ბურთს სულ მას აწოდებენ. მეორე ხელიც და პარტიაც ლენინგრადელების გამარჯვებით დასრულდა: 7:5, 6:4, მთელი შეჯიბრება ძლიერად ჩაატარა ტისმა.

დანარჩენ შეხვედრებში: ჩისტოვმა, პოუგო სერებრიანიკოვს 6:1, 6:4 ანგარიშით.

ლენინგრადელების წყვილმა-მეორე ვაჟთა: მულდინოლ-ლიკიკინმა წააგეს სნიუშკოვ-ალფეროვის წინააღმდეგ ორ ხელში 2:6, 5:7 ანგარიშით ალეროვმა (მოსკოვი) მოუგო კრუპენიკოვს: 5:7, 6:2, 7:5 ანგარიშით. ტეპლიაკოვა-სურნაჩევამ —ვერმიშევ-კლდიაშვილს — 6:1, 6:2 ანგარიშით. ნეგრებეცკი-გომერის შეხვედრა დასრულდა პირველისათვის იოლი მოგებით 6:3, 6:2 შედეგით.

წინა დღით შეწყვეტილი თამაში ტეპლიაკოვას და კლოჩკოვას შორის მოიგო პირველმა: 6:1, 4:6, 6:0 ანგარიშით.

[illegible] დღის თამაშის შემდეგ, შეჯიბრების მდგომარეობა ასეთია.

ლენინგრადი-მოსკოვი—4:4.

ლენინგრადი ტფილისი — 6:1.

მოსკოვი-ტფილისი—8:0.

პირველობის საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს. ნოვიკოვის თამაში მულდინოსთან და ნი[illegible]—6.

დახელოვნებ[illegible] კლდიაშვილი

## დღეს იწყება მილიციელთა სპარტაკიადა

დღეს, დილის 11 საათზე, დინამოს სტადიონზე, დინამოს სასპორტო დარბაზში იწყება მილიციელთა სპარტაკიადა. სპარტაკიადის დაწყებამდე სტადიონზე გაიმართება მონაწილეთა აღლუმი და საჩვენებელი გამოსვლები. შემდეგ დაიწყება შეჯიბრება. შეჯიბრება მოხდება მსუბუქ ძლევოსნობაში, ცურვაში ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ფეხბურთში, ჯირითში და სხვა სპორტულ დარგებში.

სპარტაკიადა 8 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

# ერთწლიანი საკოლმეურნეო

## უნივერსიტეტი ლანჩხუთში

**ლანჩხუთი,** 5 ოქტომბერი (საკ. კორ.) საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ-ის დადგენილებით ლანჩხუთში გაიხსნება ერთწლიანი საკოლმეურნეო უნივერსიტეტი.

5 ოქტომბერს პირველი მეცადინეობა ჩაატარეს პროფ. ყიფიანმა და ბიოლოგმა ჩხენკელმა.

უნივერსიტეტში ჩარიცხულია 50 ბრიგადირი და დამკვრელი კოლმეურნე.

ვ. გარსელაძე.

# ქრონიკა

## „ლიტერატურული გაზეთის" № 18.

— გამოვიდა ექვსდღიური „ლიტერატურული გაზეთის" მორიგი მე-18 (6 ოქტომბრის) ნომერი. გაზეთში მოთავსებულია მეთაური რედაქციის მიერ საუკეთესო მხატვრულ ნარკვევსა და ნოველაზე გამოცხადებულ კონკურსის შესახებ, კონკურსის პირობები, თეორეტიულ-კრიტიკული წერილები—ბ. ჟღენტის, გ. ნატროშვილის, დემნა შენგელაიასი, ირაკლი აბაშიძის; ლექსები—პაოლო იაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ნ. მიწიშვილის, გრ. ცეცხლაძის; თარგმანები—ბაირონიდან (გ. [illegible]ჩილაძის) და ა. პუშკინიდან (ვ. იაშვილის); ნოველა—ს. კლდიაშვილის; ბიბლიოგრაფია, პატარა ფელეტონი, იუმორისტული ლექსები, შარჟები, ქრონიკები. გაზეთი დასურათებულია მხატვრების—ს. ნადარეიშვილის, დავით ქუთათელაძის, თამარ აბაკელიას ნახატებით.

— **კინო-სურათის „უკანასკნელი ნიღაბის" განხილვა.** ხვალ 7 ოქტომბერს საღამოს სრულ 7 საათზე „ლიტერატ. გაზეთის" რედაქცია აწყობს რეჟისორ მ. ჭიაურელის ახალი სურათის „უკანასკნელი ნიღაბის" განხილვას, რომელსაც უნდა დაესწრონ მწერლები, კრიტიკოსები და „ლიტ. გაზეთის" თანამშრომლები.

# ზაქარია ფალიაშვილის ხსოვნას



დღეს საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირი და საბჭოთა საზოგადოებრიობა აღნიშნავს დიდი კომპოზიტორის ზაქარია პეტრეს-ძე ფალიაშვილის გარდაცვალების ერთი წლის თავს.

ღარიბი ოჯახის შვილი ზაქარია ბავშობიდანვე მუსიკით გატაცებული შედის ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში, სადაც იგი წარჩინებით ასრულებს ინსტრუმენტ ვოლტორნის და თეორიულ საკომპოზიციო ფაკულტეტს რის შემდეგ 1900 წ. ზაქარია მიემგზავრება მოსკოვის კონსერვატორიაში გამოჩენილ პროფესორ კომპოზიტორ ი. ტანეევთან. 1[illegible] წელს კურსის დამთავრების შემდეგ ბრუნდება ტფილისში, ამავე წელს [illegible] მაშინდელ მუსიკალურ სასწავლებლისა და ყოფილ სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოწაფეთა გუნდისა და ორკესტრის ხელმძღვანელად. 1908 წ ზაქარიას ნიშნავენ იმავე წელს ჩამოყალიბებულ ქართული ფილარმონიული საზოგადოების მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად.

აქედან იწყება ზაქარიას შემოქმედებითი და პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ხალხის შემოქმედების სიღრმეში შეჭრით, მათი წარსულის ისტორიისა და ადათ-ჩვეულებების შესწავლის საფუძველზე შეიძლებოდა ახალი, ორიგინალური შემოქმედებითი განძეულების შექმნა. იგი სიხალისითა და ენტუზიაზმით ფონოგრაფით ხელში მიემგზავრება საქართველოს ჯერ კიდევ მიუვალ სხვადასხვა კუთხეებში ხალხური კულტურის ძვირფასი მარგალიტების შესაკრებად.

ზაქარია წერს, რომ სიმღერების ჩაწერა უნდა ხდებოდეს ადგილზე ბუნებრივ პირობებში, ე. ი. იმ სოფელში, სადაც იგი იქმნება და ამასთანავე ყოველგვარი გალაკიდებისა და ზეგავლენის გარეშე.

ზაქარია დიდი სიფრთხილით უდგებოდა ამ შეგროვილ მასალის დამუშავებასა და მხატვრულ ფორმებში ჩამოყალიბებას. მხოლოდ დიდი ხნის შესწავლისა და დაკვირვების შემდეგ შესძლო მოხდენილად დაემუშავებია და ძვირფასი სამკაულებით შეემკოსა ხალხში აღმოცენებული ის უდიდეს განძი, რომელსაც იგი დიდი ოპერების „აბესალომ და ეთერი"—„დაისი"—„ლატავრა"—და სხვა ნაწარმოებთა სახით გვიძლევს შეუძლებელია ამ მცირედი მიმოხილვით შემოხაზულ იქნეს ის ვეებერთელა დიაპაზონი, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებას ახასიათებს.

მისი ნიჭი და დაუშრეტელი ენერგია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეაფასა, რომელმაც ჯერ კიდევ 1925 წ. 12 აპრილს მას რესპუბლიკის სახალხო არტისტის სახელწოდება მიანიჭა.

ზაქარია არა მარტო პოპულარული და საბჭოთა საქართველოს მშრომელი ხალხის საყვარელი კომპოზიტორია, არამედ მას იცნობენ მოძმე რესპუბლიკებსა და ევროპის სხვადასხვა [illegible]შიაც.

ზაქარია ფა[illegible] შეგნებულად ითვისებს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ დიდ საბრძოლო ამოცანებს. ამის შედეგია მისი „კანტატა მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავზე" რასაკვირველია ამ უდიდესი მოვლენის სრული გაგება, მან ვერ შეძლო, მაგრამ, დიდი კომპოზიტორის პირველ გულწრფელ ცდას აუცილებლად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი თაობა გამოიყენებს ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში უხვად მოცემულ რჩეულ მხარეებს, რომელიც დიდი მასწავლებლის უკვდავი ძეგლი იქნება. ერთის წლის წინათ, სწორედ დღევანდელ დღეს ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსე ზაქარია, მხოლოდ ფიზიკურად ჩამოსცილდა ჩვენს რიგებს.

გრიგოლ კოკელაძე.

# ჭადრაკი

## რესპუბლიკების მაესტროთა შეჯიბრება

### მეთერთმეტე ტური

ამ ტურში ყველაზე საინტერესო **რაგოზინის** და **ებრალიძის** პარტია იყო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მიუხედავათ ორივე მხრიდან დაშვებული მთელ რიგ შეცდომებისა, ეს პარტია ერთ-ერთი მწვავე და რთული პარტია იყო მთელს შეჯიბრებაში, როგორც თავის მხატვრული შინაარსით ისე კომბინაციურ აღმაფრენით, რასაც გაჭედილი დარბაზი გატაცებით ადევნებდა თვალყურს.

აქტიურ მდგომარეობის მიღების მიზნით, **რაგოზინი** დებიუტშივე სწირავს მოწინააღმდეგეს პაიკს ებრალიძე იღებს პაიკს და თამაშს აწარმოებს ლაზიერის ფრთაზე. რაგოზინი შეეცადა ეთამაშა მოწინააღმდეგის ლაზიერის მოგებაზე, რომელიც რამოდენიმედ გარიყული იყო მაგრამ ებრალიძე სწორად იცავს თავს და მდგომარეობაც მისკენ იბრუნებს პირს. რაგოზინი იძულებული ხდება, სვლათა განმეორებით შეუთანხმდეს ყაიმზე ან მთელი რიგი ფიგურების შეწირვით წავიდეს მეტად სასტიკ და მასთან გამოურკვეველ შეტევაზე. ხანგრძლივი მოფიქრების შემდეგ იგი ირჩევს მეორე გზას, რითაც პარტიის ფასი მან მხოლოდ გაზარდა.

მდგომარეობა მეტად რთულდება, ერთდა იმავე დროს მეფის ქვეშ იმყოფებიან მთელი რიგი ფიგურები, ებრალიძე კარგად იცავს თავს; მოსალოდნელი იყო, რომ იგი აიტანდა იერიშს, მით უფრო რომ ამაში რაგოზინიც ხელს უწყობდა. ორივენი ცეიტნოტში არიან, რომლის დროსაც შეცდომას უშვებს ებრალიძე აგებს ლაზიერს—ეტლში და მხედარში და ნებდება.

დანარჩენ პარტიებში ვერესოვმა კარგად ჩაატარა მთელი პარტია გოგლიძის წინააღმდეგ; ერთხანობას რამოდენიმედ უკეთესი მდგომარეობაც ჰქონდა გოგლიძის უმართებულო გეგმით თამაშის გამო. მწვავე ბრძოლის შემდეგ პარტია ყაიმით დასრულდა.

ყაიმით დასრულდა აგრეთვე **კმოხ — ვ. მაკაგონოვის და მ. მაკაგონოვ-სელეზნევის** პარტია.

**რაუზერმა** სრულიად მოულოდნელად დაუსვა კირილოვს, მეშვიდე სვლაზე ფიგურა და დანებდა.

**სოროკინ-ხილიჩის** და **კონსტანტინოპოლსკი-კასპარიანის** პარტიები ხანგრძლივი თამაშის შემდეგ გადაიდო. სოროკინისთვის და კასპარიანისათვის უპირატეს მდგომარეობაში (ზედმეტი პაიკი). შეჯიბრების მდგომარეობა მეთერთმეტე ტურის შემდეგ ასეთია: **ვ. მაკაგონოვი**+7½, **გოგლიძე**+7 (1 გად.), **რაუზერი და ვერესოვი**+6 **რაგოზინი**+5½ (1 გად.), **კ. სელეზნევი**+5½, **კონსტანტინოპოლსკი**+5 (1 გად.), **მ. მაკაგონოვი**+5, **ხილიჩი**+4½ (2 გად.), **კმოხი**+4 (3 გად.), **კირილოვი**+3½ (2 გად.), **ებრალიძე და სოროკინი**+3 (3 გად.), **კასპარიანი**+2½ (2 გად.).

დღეს, 6 ოქტომბერს, საქპროფსაბჭოს შენობის დიდ დარბაზში გათამაშდება შეჯიბრების მორიგი მეთორმეტე ტური. ითამაშებენ: **გოგლიძე-სოროკინი, ვ. მაკაგონოვი-რაგოზინი, ებრალიძე-რაუზერი, მ. მაკაგონოვი-კმოხი, ხილიჩი-კონსტანტინოპოლსკი, სელეზნევი-კასპარიანი და კირილოვი-ვერესოვი.**

7. ოქტომბერს იქვე დამთავრებული იქნება ყველა გადადებული პარტიები.

თამაში იწყება 5½ საათიდან

ა. ფ—ლი.

ნ. კაიჭაძე

# პრინც ოლდენბურგ-იმანიძის „დიქტატურა" ძირს

„სალამი სერგო!

მე უკვე ვიყავი გოგია იმანიძესთან და შენ მიკვირს რომ არ წამოდი. დიდებული ბანკეტი იყო, დაახლოებით 40 კაცით. სუფრა საღამოთ გაიმართა და მეორე დღის დილამდე გაგრძელდა. შეგვარცხვინა ის სუფრა, თუ ათასი თუმანზე ნაკლები ღირებოდა. ისე კი, სიმართლე რომ ითქვას, კომუნისტის ოჯახში ამხელა ამბავი არ მომეწონა.

სალამით"... (და ხელმოწერა).

რას ვერჩით ამ წერილის ავტორს. იგი, ალბათ, პატივსაცემი კაცია, საკმაოდ „მოზრდილი", რომელიც სხვა „მოზრდილებთან" ერთად დაპატიჟა „პასუხისმგებელმა კომუნისტმა" და ასვა, აჭამა, აქეიფა, ალხინა... ამ კაცმაც შეიფერა ეს პატივისცემა. მაგრამ შთაბეჭდილებას, რომელიც მეგობრისადმი მიწერილ წერილში გამოთქვა, ასეთი შენიშვნაც დაუმატა—„კომუნისტის ოჯახში ამხელა ამბავი არ მომეწონაო"...

წლების განმავლობაში „სამტრესტის" ქუთაისის განყოფილების ქონება ნიავდებოდა, სახელმწიფოებრივი საკუთრება უსინდისო ადამიანმა აღვირახსნილ მადასურვილებს ეწირებოდა. ადგილობრივი ორგანოები კი ვერ იჩენდენ „კრიტიკულ სიფხიზლეს".

მაგრამ ხალხი?!. ქუთაისის რამდენიმე ათეულათასიანი მშრომელი მასა?!. ისიც სდუმდა?!.

არა!.. ხალხი ხედავდა უდიდეს ბოროტებას, ხალხი გრძნობდა, რომ სახელმწიფოებრივი დოვლათი, ეს წმინდათაწმინდა და ხელუხლებელი საუნჯე, ნიავდებოდა. ხალხი ხედავდა, რომ გუშინდელი კომუნისტი (მართლა კომუნისტი), გუშინწინდელი ღარიბი გლეხი, მილიციელი, შემდეგ ქუთაისის მილიციის უფროსი და არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით—ერთგვარი დამსახურების მქონე პიროვნება, დღეს გადიდკაცდა, გაიბერა, გამდიდრდა და იმდენზე გაიწია, რომ აღარავინ არ უჩანს თვალში. ხალხი ხედავდა იმას, რომ იმანიძე მუდამ დღე ქეიფობს [illegible] ეტარებს. ეტლითა და „[illegible]" დასეირნობს, მუდამ მთვრალია. მუდამ მაუზერს ათამაშებს ხელში. მუდამ „ლამაზმანებს" „ეალაპუცება", „მდაბიო" ხალხს სალამს არ აძლევს. „დიდკაცობას" ფეხქვეშ ეგება და, ქუთაისის გაზეთის სიტყვებით რომ ვთქვათ,—პრინც ოლდენბურგის „მემკვიდრეობას" ჩემობს.

⁂

პრინცი ოლდენბურგი ქუთაისში ცხოვრობდა და ღვინის დიდ მწარმოებლად ითვლებოდა. თქმა არ უნდა, პრინცი პრინცობდა და აქ გასაკვირიც არაფერი იყო.

არც ისაა გასაკვირი, რომ ახლა ოლდენბურგის „ბურდღა" 'არაა ქუთაისში. მაგრამ დარჩა მისი ძირი, დარჩა მარანი ქვევრებით, საწნახლებით და მანქანებით, დარჩა ქუთაისის რაიონი, მევენახეობა-მეღვინეობის საუკეთესო ბაზა და საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარება პრინც ოლდენბურგზე ათჯერ მეტად აინტერესებს.

„სამტრესტი"... უფრო გასაგებად—საბჭოთა მეურნეობების ტრესტი. ეს დიდი სამეურნეო ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც სხვა მრავალი საქმიანობის გარდა აწარმოებს მოსახლეობიდან ყურძნის შესყიდვას და ღვინის დამზადებას.

ამ ორგანიზაციამ 1929 წელს ქუთაისში გახსნა თავისი რაიონული განყოფილება და ძირითად ბაზად პრინც ოლდენბურგის დანატოვარი მარანი გამოიყენა. ეს ცოტაა. მალე მარანს სარდაფს დაემატა სასაქონლო საწყობი, გაზიანი წყლების ქარხანა, სასმელების სავაჭრო წერტილები, ყურძნის დამამზადებელი პუნქტები და სიმონეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

სამტრესტის ქუთაისის განყოფილება უკვე დიდი საწარმოა. მისი დირექტორის ხელში მილიონები ტრიალებენ.

და ქუთაისის საქალაქო კომიტეტი ენდო „ბოლშევიკ" გოგია იმანიძეს, კაცს ბრძოლებში ნაცადს და „საიმედოს".

იმანიძეც 1930 წელს შეუდგა მუშაობას.

⁂

რა მოხდა შემდეგ?

არაფერი. „სამტრესტი" თავისი ხაზით მუშაობდა. დროგამოშვებით გზავნიდა ქუთაისში ინსტრუქტორებს. ისინი ბრუნდებოდენ და ამოჰქონდათ შთაბეჭდილება—ქუთაისის განყოფილებაში ყველაფერი რიგზეა. იმანიძე „ღმერთივით" მუშაობს. შეგვიძლია დავმშვიდდეთ.

ქუთაისში კი...

იმანიძე მართლაც „ღმერთივით" მუშაობდა. ის პრინც ოლდენბურგის ღირსეული მემკვიდრე გახდა და სამტრესტის მარანს მთლად დაეპატრონა.

დაეპატრონა... დაწესებულებაში იმანიძის „დიქტატურა" გამოცხადდა. ცოლი „თანაშემწედ" გაიხადა და ხელი მიჰყო ჭამა-სმას. მართლაც რომ პრინცის ყაიდაზე.

სახელმწიფო მარანი საკუთარ ქონებად წარმოიდგინა. შიგ თავისი ფონდი გაიჩინა. საკუთარი ქვევრები და კასრები გამოიყო. ერთს „იმანიძის თეთრი ხვანჭკარა" დაარქვა, მეორეს—„იმანიძის შავი", მესამეს „იმანიძის სპირტი". მეოთხეს... და ასე.

უნდა ითქვას, პოხმარების შნო კი ჰქონდა იმანიძეს. ხან მარტო სვამდა, ხან სხვას ასმევდა. უფრო ხშირად ძმაბიჭებს სთავაზობდა.

„გადაუღეთ ჩემი წითელი ხვანჭკარიდან სამი ვედრო ღვინო".

„მიეცით ამ წერილის მომტანს ერთი ტიკი შავი".

„გაატანეთ არაყი".

უგზავნიდა ის მეღვინე ტერ-გრიგორიანს ამ სახის „ზაპისკებს" და „პატიოსანი" სპეციალისტიც ასრულებდა თავისი „პრინცის" ბრძანებას...

ტერ-გრიგორიანი ფრთხილობდა „ზაპისკებს" „დოკუმენტებად" ინახავდა, მაგრამ რაღაა იგი „დოკუმენტი", რომელშიც წამღების არც გვარი წერია და არც სახელი?

გადიოდა დღეები. „სამტრესტის" მარანს აკლდებოდა ღვინო ვედრობით. სახელმწიფო სალაროში კი სამაგიერო ფული არ შედიოდა.

იმანიძემ და მისმა ცოლმა საკუთარ საკუჭნაოდ გაიხადეს სასაქონლო საწყობი, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ და მხოლოდ კონტრაქტანტი გლეხების დასაქონლება იყო და რომელშიაც უამრავი ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, შაქარი, ფართალი და სხვა საქონელი ელაგა. ცნობილმა კატუშამ (იმანიძის მეორე ცოლია *) გადადო თავი და სულ გაზიდა თავისი „კუხნიდან" კოლმეურნეებისათვის მისაცემი ფართლეული. შაქარი. პური, სიმინდი

იმანიძემ და მისმა „კნეინამ" საწყობის გამგედ განზრახ დანიშნეს არაფრის მცოდნე თევდორაძე, კაცი, რომელსაც ამოდენა ქონება კი არა, ორი ბატი არ მიებარება. თევდორაძეს აერია დავთრები. აქეთ ამოდენა საქონელი, იქით კონტრაქტანტი გლეხები. აქ იმანიძის საჭირო ხალხი, იქ თვით „პრინცი" და „პრინცესა". სულ ბოლოს თვით საწყობის გამგის ცალიერი თავი და საწყობმაც იწყო დაცალიერება.

თევდორაძე ხედავდა. რომ კატუშა იმანიძე ისევე ფლობს საწყობის გასაღებს როგორც თვითონ და მბრძანებლობს საწყობში უფრო მეტად, ვიდრე თვითონ.

— ბიჭო, რა კარგი მიტკალი მიგიღია! რა დროს კონტრაქტანტი გლეხებია. ამას მე წავიღებ. საბნებს „ჩიხოლად" გამოვაკერებ?

— უი, შენ ძოიკვდი ბარელამ. სა გქონდა. ბიჭო, ამდენი შაქარი. ქე მიმაქ მე ერთი-ორი ფუთი. მაინც ბევრია და არაფერი არ შეეტყობა.

საქონლის ყოველი მიღებისას ესმოდა თევდორაძეს „ქალბატონ" კატუშას ასეთი სიტყვები, და რა შვილია, რომ გაებედა და სიტყვა შეებრუნებია „პრინცის" მეუღლისათვის?!

თევდორაძის საწყობს იმანიძეების ოჯახის გარდა ბევრი სხვა „კომშმარებელი" აღმოაჩნდა. ესენი იყვნენ თვით „სამტრესტის" ქუთაისის განყოფილების თანამშრომლები და იმანიძის ნაცნობი რჩეული ხალხი, რომლებიც არ იკლებდენ ხელგაშლილ დირექტორის უხვ მოწყალებას და მეტისმეტ ფასებში, უფრო ხშირად, მთლად უფასოდ ჰქონდათ. რასაც ინებებდნენ

საწყობში არავითარი აღრიცხვა არ იყო. ამ მხრივ საქმეს ვერ უშველა ვერც ფორმალურად დანიშნულმა მოანგარიშემ. ამ კაცმა (საჩკო) მუშაობის საკუთარი მეთოდიც კი შემოიღო: აძლევდა გლეხებს საქონელს, მიღების ქვითარზე წერდა მხოლოდ იმას, თუ რა ღირებულების საქონელი მიიღო (და არა რაოდენობას) და მიმღებს ხელს არ აწერინებდა.

ცხადია, ეს ამბავი მოწყობილი იყო წინასწარ, მარნის ხელმძღვანელებთან შეთანხმებით.

რა მდგომარეობაში იყო ბუღალტერია? ბუღალტერია დაბრუცხანდა. წარმოების სარკე ელამი გახდა. იმანიძემ საანგარიშო ნაწილიც თავისი ბოროტ გავლენის ქვეშ მოაქცია.

— მე არ ვიცი არავითარი ანგარიშწარმოების წესები. კანონი ისაა, რასაც იმანიძე გეტყვის,—უბრძანა მან უფროს ბუღალტერ **ალ. მგელაძეს** და ამით გათავდა. ბუღალტერმაც ვერ გამოიჩინა სიმტკიცე და იძულებული შეიქნა იმანიძის კაპრიზების გზით წასულიყო.

ამით ისარგებლეს ქუთაისის ცნობილმა სპეკულიანტებმა (რ. ელიგულაშვილი, ჩემოდანოვი), რომელთაც იმანიძისა და მგელაძის მეშვეობით რამდენიმე ათასი მანეთი „დააძვრეს" ჯერ „სამტრესტს" და შემდეგ სახელმწიფოს.

„სამტრესტმა" ელიგულაშვილი გაგზავნა მოსკოვსა და ლენინგრადში კონტრაქტანტი გლეხებისათვის დასარიგებელი საქონლის შესაძენად და გაატანა ხელზე 250 ათასი მანეთი. ერთი თვე დაჰყო იქ მარნის „კომერსანტმა". ატყუა საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციები ქუთაისიდან წაღებულ ყალბი „დოკუმენტებით", შეიძინა სხვადასხვა სახის საქონელი და საავანსო ანგარიშის გასანაღდებლად 28 ათასი მანეთის ყალბი საბუთები წარმოადგინა.

— გაუნაღდეთ,—გასცა ბრძანება იმანიძემ და ბუღალტერმა მგელაძემ აღასრულა დირექტორის ბრძანება.

⁂

უთავობა სუფევს „სამტრესტში". იფლანგება საბჭოთა ათასები. ნიავდება სახელმწიფოებრივი საკუთრება. მარანი უკან მიექანება.

სამაგიეროდ წინ მიდის და აღმავლობით ვითარდება პრინც ოლდენბურგ—იმანიძის საკუთარი ოჯახი. მან დაწესებულების შენობაში ოთხი ოთახი დაიჭირა. მოაწყო სავარძელ-ხალიჩებით, სარკეებითა და ძვირფასი ნივთებით. შეიძინა „ნატვრის მაგიდა", რომელიც საჭიროებისას თითის ერთი დაჭერით გადაიხსნება ხოლმე და რა გინდა სულო და გულო, ზედ არ გაიშლის.

მუდამ ქეიფია იმანიძის ოჯახში. თვეთეული ქეიფი ათასობით მანეთი ჯდება. მუდამ განცხრომა და დროს ტარება.

იმანიძეს ჰყავს „მერანი", რომელიც შაქრით იკვებება. იმანიძის ცოლი კატუშა, აივნიდან გადმომდგარი, ლმობიერად მიმართავს მეზობლის ბავშვებს, რომლებიც შურის თვალით შეჰყურებენ ცხენის ამ განცხრომას:

— აკრიფეთ გენაცვალეთ ცხენის მონარჩენი შაქარი და წაიღეთ სახლში!

ან, საღამოდ მიდის „კომუნისტი" იმანიძის ოჯახის გათავხედება...

იმანიძე მიდის ფოთში. ვითომდა შუშის დამზადებაზე და ეტლის ქირად 1.500 მანეთს ადგენს. მატარებელი ხელს არ მაძლევდა, ეტლით ვიმგზავრეო. იმანიძე მიდის სიმონეთში ვითომ საქმეზე, ნამდვილად კი თავის მიჯნურთან, რომელსაც ერთხელ კატია იმანიძე ამ საქმის გამო დაწესებულებაში თმებით ათრევდა. არდგენს 900 მანეთის ანგარიშს, ბინის ქირა გადვიხადეო (ბინის ქირა... იმანიძემ... სიმონეთში... თხუთმეტი დღის მანძილზე... (ცხრაასი მანეთი?!).

ბევრს უყვარდა გოგია. ამ „ბევრთა" შორის ისინი შედიან, რომელთაც იმანიძის პურ-ღვინო უგემიათ, რომელთაც „იმანიძის ხვანჭკარიდან" რამოდენიმე ვედრო ღვინო უფასოდ ან ნებადაურთველი ფასდაკლებით გაუტანიათ. ასეთ ფასდაკლებით გაცემული ღვინის ღირებულება 75 ათას მანეთს აღწევს.

საკვირველია, სად იყო ხალხი! სად იყვნენ ან „დიდები", ან „პატარები"!

მოგახსენებთ...

„დიდი" მარანში იმანიძის გარდა არავინ იყო. „პატარები" კი, იმანიძის მაუზერის წინაშე იდგენ და ხმას ვერ იღებდნენ. „დიდები" მხოლოდ სამტრესტიდან ჩამოდიოდნენ. იმანიძემ ისინიც მოიგერია, მაგრამ არა მაუზერით, არამედ ქრთამით, ჯოჯოხეთის გამანათებელი ქრთამით. იმანიძემ გადააწყო რჩეული საქონელი და ზოგიერთ „სამტრესტელს" უფეშქეშა. ეს კი ყველაფერია.

⁂

შედეგი სახელმწიფო ქონების დაუზოგავობის, ანგარიშიანობის არევის, ჭამასმის, ხელგაშლილობის, თავხედობის უმსგავსობისა.

სასაქონლო საწყობს დააკლდა 72 ათასი მანეთის საქონელი. განიავდა ხუთი ვაგონი სიმინდი. დაიკარგა 2.600 კილოგრამი შაბიამანი.

სარდაფიდან უგზო-უკვლოდ გაქრა 75 ათასი მანეთის ღვინო

იმანიძემ პირადად გაფლანგა 26.821 მანეთი

სპეკულიანტმა ელიგულაშვილმა ლენინგრადში ერთ მოგზაურობაზე მარანს დააკლო 28 ათასი მანეთი.

სპეკულიანტმა ჩემოდანოვმა ისარგებლა 24 ათასი მანეთით და სხვ. მაგრამ ესეც კმარა.

⁂

15 სექტემბერს ტფილისიდან ქუთაისში ჩავიდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გამსვლელი სესია ამხ. ც. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით.

პროცესმა გამოაშკარავა სამტრესტის ქუთაისის განყოფილებაში გამეფებული უმსგავსოებანი. იმანიძეს ახადეს ნიღაბი და საზოგადოების წინაშე დადგა გადაგვარებული „კომუნისტი" მახინჯი სახით.

იმანიძესთან ერთად გაასამართლეს კიდევ ათი ბრალდებული.

სხვა გზა არ იყო—ყველა მათგანმა აღიარა დანაშაული.

და ორი კვირის მუშაობის შემდეგ. უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის ძალითაც იმანიძეს **დახვრეტა** მიესაჯა.

მაგრამ სასამართლომ მხედველობაში მიიღო იმანიძის ძველი დამსახურება და დახვრეტა ათი წლის პატიმრობით შეუცვალა. ათი წლის პატიმრობა მიესაჯა აგრეთვე რაფაელ ელიგულაშვილს, საწყობის გამგე—თევდორაძეს და ბუღალტერ მგელაძეს. სხვადასხვა შემამსუბუქებელ გარემოებათა გამო თევდორაძეს პატიმრობის ვადა შეუმცირდა ექვს წლამდე, მგელაძეს ხუთ წლამდე.

სასამართლოს განაჩენით უნდა მოხდეს ბრალდებულთა მთელი ქონების კონფისკაცია.

---

*) იმანიძეს სხვა ცოლიცა ჰყავს.

ოქტომბერი
7 9. 11

დამკვრელი საზაფხ.
30 — 40. 11

დამკვრელი საზამთ.
30. 10 11-15

იმედი (საზაფხ.)
40. 11

სიერი საზაფხ.
40 11

ლენინის სახელ.
40 01

ლიუქსემბურგის სახელობის
30 40, 10-30

კომინტერნი საზაფ.
40 10-15

ხმოვანი ფილმი
„ორი დღე"

ოკეანის ძირის დღეები
[illegible]
ვერცხლის შარფი
[illegible] 6-30.

ბატა ვაჩნაძე სურ.
„ნათელა"-ში

მხატვრული ფილმი
„ხაზ-პუშ"

„წყნარი დონი"
[illegible]

[illegible] სურათი
„მილანის აული"

[illegible] 1 30

გამოიწერეთ და გავრცელეთ
გაზ. „კომუნისტი"

გამოიწერეთ
და
გაავრცელეთ
„ლიტერატურული
გაზეთი"
გამოდის ყოველ
გამოსავალ დღეს
თვიურად ღირს 1 მან. 50 კაპ.

ა. კ. დაუსწრებელი საფ. ეკ. ინსტიტუტის 1, 2, 3 კურსზე
მეცადინეობა დაიწყება 12 ოქტომბერს დილის 9 საათიდან [illegible] კეცხოველის [illegible] № 1.
390 [illegible] ბიურო.

მარჯანიშვილის
სახელობის
თეატრი
სეზონი 1934-35 წ.
რეპერტუარი:
„ბახტრიონი" ვ. ფშაველას.
„ურთა" — [illegible]
„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი" [illegible]
„პანტიუშა" [illegible]
„ესკადრის დაღუპვა" — ა. კორნეიჩუკის [illegible]
სეზონის გახსნა
12 ოქტომბერს
ნინოშვილის გურია
სალარო 11—2 საათ. [illegible] და 6—9 ს.
480 დირექცია.

მისამართები: რედაქციის. რუსთაველისპროსპექტი № 16, გამომცემლობის, რუსთაველის პროსპ № 84 ტელეფონები: რედაქტორის 8—62—26, რედაქტორის მოადგილის 8—62—08, პასუხისმგებელი მდივნის 8—06.88, მასობრივი განყოფილების 8—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 8—57—61, სამრეწველო განყოფილების 8—78—40, ხაზმის 8—27—04.

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული 8416